პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი 10 იანვარი 1940 წ. № 8 (5709) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„КОМУНИСТИ" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს გაზეთში

ი. სტალინი — როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური საკითხი (მე-2 და მე-3 გვ.)
ი. სტალინი — პროლეტარიატის კლასი და პროლეტარიატის პარტია (მე-3 გვ.)
სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — წარმოებაში! (მოწინავე)
მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს პირველი სესია (1-ლი გვ.)
დონბასის მექვანახშირეთა მოწოდება ჩვენი ქვეყნის ყველა მალაროელისადმი (1-ლი გვ.)
სედოველები სულ ახლოს არიან (1-ლი გვ.)
სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვ.)
კოლმეურნეობებში სამუშაოდ (1-ლი გვ.)
უცხოეთი:
ინგლის-იტალიის ურთიერთობა (მე-4 გვ.)
ინგლისის მშრომელები სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა კავშირს (მე-4 გვ.)
ომი ზღვაზე (მე-4 გვ.)

## სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — წარმოებაში!

ჩვენ დიად ქვეყანაში ბრწყინვალედ არის გადაჭრილი რთული პრობლემა ტექნიკური ინტელიგენციის საკუთარი კადრების შექმნისა. ორდენოსან საქართველოს ჰყავს აგრონომთა, ინჟინერ-მექანიკოსთა, ზოოტექნიკოსთა, ვეტექიმთა, მიწათმომწყობთა მთელი არმია. მარტო საქართველოს სსრ მიწსახკომის სისტემის ხაზით 2.640 აგრონომი, ინჟინერ-მექანიკოსი, ზოოტექნიკოსი და ვეტექიმი მუშაობს. საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ზოოვეტინსტიტუტი ის სამჭედლოა, საიდანაც სოციალისტური სოფლის მეურნეობა იღებს ახალ-ახალ კადრებს.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტმა და ზოოვეტინსტიტუტმა გამოუშვეს 1.625 სპეციალისტი. ამჟამად კი ორივე ინსტიტუტში 2.507 სტუდენტი სწავლობს.

აგრონომის მუშაობა დიდი და პასუხსაგებია. აგრონომი მარტო მრჩეველი კი არ არის, არამედ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორია, ის წარმომადგენელია საბჭოთა ხალხური ინტელიგენციისა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. საქართველოს სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე [illegible] რელი ბელადის დიდი სტალინის, საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობით. საბჭოთა აგრონომისათვის შემოქმედების, აგრონომიული მეცნიერების განვითარების ისეთი პირობებია შექმნილი, რომელიც არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ აგრონომებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩვენში მთავრობა დიდ თანხებს ხარჯავს აგრონომთა კადრების მოსამზადებლად. სტუდენტები სარგებლობენ უფასო სწავლით, საცხოვრებლით, ღებულობენ სტიპენდიას. ეს უდიდესი მზრუნველობა აგრონომებს ავალებს იყვნენ მოწინავე მებრძოლნი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ აგრონომთა დატოვებას იმ დაწესებულებებში, რომლებიც თავისი სპეციფიკის მიხედვით ამას არ საჭიროებენ. შეცდომაა მტს-ებში, რაიმიწგანებსა და კვლევით დაწესებულებებში სპეციალისტების დაბანდება სტატისტიკური ცნობების შესადგენად. აპარატებსა და დაწესებულებებში სპეციალისტთა მინიმუმი უნდა მუშაობდეს.

ამავე დროს უბნის აგრონომს უნდა შევუქმნათ ყველა საჭირო პირობა მუშაობისათვის. მაგრამ არის ფაქტები, როცა აგრონომები მოკლებული არიან სატრანსპორტო საშუა- [illegible]

## ოპერატიული ცნობა

### ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

[illegible]

## დონბასის მექვანახშირეთა მოწოდება ჩვენი ქვეყნის ყველა მალაროელისადმი

მოსკოვის საიარაღო ქარხნის კოლექტივმა თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელი ქარხნების ყველა მუშის, მუშა ქალის, ინჟინრის, ტექნიკოსისა და მოსამსახურისადმი მოუწოდა ოთხ წელიწადში შეასრულონ ხუთწლედის დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში.

მალაროელები ვალდებული არიან არა მარტო საკმაო რაოდენობის მაღალხარისხოვანი სათბობით უზრუნველჰყონ ქარხნები, არამედ მარაგიც შექმნან.

ამიტომ ჩვენ, მექვანახშირეებმა, მოსკოვის მეიარაღეთა მიმართვას უნდა ვუპასუხოთ იმით, რომ გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ მრავალი ტონა ქვანახშირი.

ჩვენი შახტის კოლექტივმა ვადამდე დაამთავრა 1939 წლის გეგმა. ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მივცეთ 90 ათასი ტონა ქვანახშირი და შევასრულეთ ჩვენი სიტყვა, გეგმის გადამეტებით ამოვიღეთ 93.717 ტონა ქვანახშირი, 18,3 პროცენტით გავადიდეთ რა ამოღება 1938 წელთან შედარებით. ჩვენი შახტის მალაროელებმა შესანიშნავ მაჩვენებლებს მიაღწიეს. 314 სტახანოველმა მიიღო ქვანახშირის ოსტატის სახელწოდება. მებიგეები ამხ. გუსევი და ზასედკევიჩი რეგულარულად ასრულებენ ნორმას 225-240 პროცენტით, მყელავი მემანქანე ამხ. გუნდარევი—236 პროცენტით. სტახანოველი-მნგრეველნი ამხ. კირილოვი, პიროგოვი, შელუხა და მრავალი სხვანი ორ ნორმაზე მეტს იძლევიან.

ეს მიღწევა არ არის ზღვარი. იმ შახტის მალაროელთა კოლექტივი, რომელიც დიდი სტალინის სახელს ატარებს, ამოცანად ისახავს კიდევ უფრო აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, ვადამდე შეასრულოს ქვანახშირის ამოღების გეგმა 1940 წელს.

ვალდებულებას ვკისრულობთ თვითეული მალაროელის ქვანახშირის თვიური გამომუშავება ავიყვანოთ 90 ტონამდე, შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 36,9 პროცენტით 1937 წლის გამომუშავებასთან შედარებით. თვითეული სანგრევის ნაყოფიერებას გავადიდებთ 12 ათას ტონამდე თვეში. 16-17 ციკლის ნაცვლად, რასაც ჩვენ შარშან მივაღწიეთ, თვეში გავაკეთებთ 23 ციკლს.

საბჭოთა კავშირის ყველა მალაროელთ მოვუწოდებთ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობა პროფესიათა შეთავსებისათვის, აღზარდონ ასობით სტახანოველი—შრომის მაღალი ნაყოფიერების ოსტატი. შახტები უნდა იქნენ შეჯიბრების მონაწილე საწარმოთა პირველ რიგებში. მექვანახშირეების მიერ გეგმის ყოველდღიურად შესრულება უზრუნველჰყოფს მეტალურგების, მანქანათმშენებლების, ქიმიკოსებისა და ჩვენი სოციალისტური მრეწველობის სხვა დარგების მუშების შრომის მაღალნაყოფიერებას.

კოლექტივის დავალებით ხელს აწერენ:
**შახტის გამგე ნ. ა. სეჩკინი.**
**პარტორგი მ. ი. ტიხონოვი.**
**შახტის თავმჯდომარე ი. ე. სმოლიაკოვი.**
**კომკავშირის კომიტეტის მდივანი პ. პ. ტკაჩენკო.**
**უბნების უფროსები — კ. ი. ოვჩაროვი, ს. ს. პლაქსიენკო.**
**შახტის მთავარი მექანიკოსი გ. პ. კოვალევი.**
**უბნის მონტიორი ფ. ა. სავჩენკო.**
**სტახანოველები: ი. ლ. კრავჩენკო, ი. ფ. მარინენკო, კ. ა. აბაკუმოვი, გ. პ. გორბუნოვი. ს. ს. ამელინი.**

(წერილი განხილულ და მიღებულ იქნა ტრესტ „სტალინუგოლის" სტალინის სახელობის № 29 შახტის ცვლათა კრებებზე).

სტალინო, 8 იანვარი (საკ დესი).

## მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს პირველი სესია

8 იანვარს წითელი არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ სახლში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს 1-ლი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ აკადემიკოსმა ბ. ა. კელერმა.

დეპუტატ ბ. ა. კელერის სიტყვა არაერთხელ იქნა შეწყვეტილი მქუხარე ოვაციით სოციალიზმის სახელოვან გამარჯვებათა ორგანიზატორის—საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

დეპუტატის, საბჭოთა კავშირის გმირის მ. მ. რასკოვას წინადადებით სესიის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანს დეპუტატ ვ. ნ. **ჩერნოუსოვს** და მდივნად—სადგურ ლოსინოოსტროვსკაიას დეპოს მემანქანის თანაშემწეს დეპუტატ ა. ი. **ზახრიაპინს.**

სესიამ მოისმინა და განიხილა სამანდატო კომისიის მოხსენება.

— მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატების არჩევნები, — განაცხადა სამანდატო კომისიის მომხსენებელმა ამხ. **იაკოვლევმა,**—150-სავე საარჩევნო ოლქში ჩატარდა რუსეთის სფს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „რუსეთის სფს რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

დეპუტატ ნ. ი. ჭომკოვის წინადადებით სესიამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. (საკდესი).

## დამთავრდა კიევის საოლქო საბჭოს 1-ლი სესია

**კიევი,** 8 იანვარი (საკდესი). დღეს შესდგა მშრომელთა დეპუტატების კიევის საოლქო საბჭოს 1-ლი სესიის საბოლოო სხდომა.

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დეპუტატ ამხ. კოსტიუკის წინადადებით, სესიამ შექმნა აღმასრულებელი კომიტეტის 17 განყოფილება და სამმართველო.

სიტყვა ეძლევა ამხ. ლანდეს. იგი აკრიტიკებს საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების მუშაობას ოლქის ქალაქების გარშემო კარტოფილ-ბოსტნეულის ბაზების შექმნისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის; ამ განყოფილებას სათავეში უდგას დეპუტატი ამხ. სოკოლოვი.

დეპუტატი ამხ. ორაკოვსკი თავის გამოსვლას მიუძღვნის ადგილობრივი მრეწველობის საკითხებს.

— არ უნდა დავივიწყოთ, — ამბობს იგი,—რომ კიევის ოლქი მდიდარია სამრეწველო რესურსებით, რომლებიც ფრიად უმნიშვნელოდაა გამოყენებული.

დეპუტატებმა ამხ. ვოლოვიკმა, დრობნიცკიმ და შკოლნიკოვმა თავიანთ გამოსვლაში გააკრიტიკეს სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო და სხვ. განყოფილებათა მუშაობა.

შემდეგ სესიამ ერთხმად დაამტკიცა აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და სამმართველოების უფროსები, აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება 7 მუდმივი კომისიის შექმნის შესახებ.

დეპუტატებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვისადმი.**

## დონის როსტოვის განთავისუფლების ოცი წლისთავი

**დონის როსტოვი,** 8 იანვარი (საკდესი). დღეს მ. გორკის სახელობის თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა თეთრგვარდიული ბანდებისაგან წითელი არმიის მიერ ქალ. დონის როსტოვის განთავისუფლების 20 წლისთავს. ვეებერთელა დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. ესწრება 2.500-ზე მეტი კაცი.

მოხსენება „დენიკინის განადგურების სტალინური გეგმა და პირველი ცხენოსანი არმიის როლი" გააკეთა მუშურ-გლეხური წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის პროფესორმა, დივიზიის მეთაურმა ამხ. მელიკოვმა. მან ძმური წითელარმიული სალამი გადასცა როსტოვის მშრომელებს ამხ. ვოროშილოვის, ბუდიონის, შჩადენკოს, მეხლისისა და კულიკისაგან. კრებამ ოვაციებით არაერთხელ შეაწყვეტინა ამხ. მელიკოვს მოხსენება ამხანაგ სტალინისა და პირველი ცხენოსანი არმიის ლეგენდარული სარდლების ამხ. ვოროშილოვისა და ბუდიონის პატივსაცემად.

საბჭოთა დონისათვის ბრძოლის შესახებ მოხსენების შემდეგ მოგონება წაიკითხეს სამოქალაქო ომის მონაწილეებმა.

დონის როსტოვის მშრომელებმა, დონის კოლმეურნე კაზაკობამ თეთრგვარდიელებისაგან როსტოვის განთავისუფლების XX წლისთავის ზეიმობასთან დაკავშირებით მრავალი მილოცვა მიიღეს.

საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი თავის მისალმებაში სწერს:

„ვულოცავ როსტოვისა და მისი ოლქის მშრომელებს თეთრგვარდიული ბანდებისაგან ქალაქ როსტოვის განთავისუფლების XX წლისთავს. დარწმუნებული ვარ, რომ როსტოვის ოლქის მშრომელები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთელი ხალხი, მზად არიან პარტიისა და მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე გამოვიდნენ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს დასაცავად და ჩვენი სტალინის სახელით აღფრთოვანებულებმა გაანადგურონ საბჭოთა კავშირის ყველა მტერი.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენ დიდ **სტალინს!"**

კრება ხანგრძლივი ტაშით შეეგება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დონის როსტოვში 1940 წელს აგებულ იქნას თეთრგვარდიული ბანდებისაგან როსტოვის განთავისუფლებისათვის დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება ამხანაგ სტალინისადმი, ამხანაგ მოლოტოვისა და ვოროშილოვისადმი, აგრეთვე ამხ. ბუდიონის, აპანასენკოს, გოროდოვიკოვის, შჩადენკოსა და ტიმოშენკოსადმი.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი, რომელიც სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ორდენოსანი პროფესორის ამხ. ალექსანდროვის მეთაურობით სპეციალურად ჩამოვიდა როსტოვს ამ ზეიმზე.

## მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მჭედელი ქალები

**გორკი,** 7 იანვარი (საკდესი). მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის მჭედელთა ცვლის კრებებზე იხილავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ბუსიგინის წერილს, რომელიც მან ამ დღეებში გამოუგზავნა ავტოქარხნის პირველ მჭედელ ქალს ამხ. პერმიაკოვასა და მის მეგობარ ქალებს.

სამჭედლო მანქანების საამქროს სარქველთა უბანზე მჭედლებად მუშაობს 7 ქალი. სამჭედლო მანქანაზე პირველად გადავიდა ამხ. ე. ს. პერმიაკოვა, რომელიც მანამდე დამლაგებლად მუშაობდა. ოსტატების დახმარებით იგი სწრაფად დაეუფლა რთულ პროფესიას და გეგმით გათვალისწინებული 3.500 სარქველის ნაცვლად ერთ ცვლაში უკვე 5.010-მდე სარქველს სჭედავს. მის მაგალითს მიჰბაძეს ამხ. სივოვამ, ტიურინამ, რასიაევამ, სნეჟკინამ და სხვებმა, რომლებმაც აგრეთვე მიიღეს მჭედელთა კვალიფიკაცია.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებაში პირველი ადგილი ამხ. პერმიაკოვამ დაიკავა. იგი ცვლაში 6.600-მდე სარქველს ამუშავებდა. ასეთი ნაყოფიერება საამქროს არცერთ მჭედელს არა ჰქონია. მჭედელმა ქალებმა გადასწყვიტეს განმტკიცებინათ თავიანთი წარმატებანი, გაეგრძოთ შეჯიბრება და ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ იანვრის პროგრამა.

მიესალმება რა ამხ. პერმიაკოვასა და მის მეგობარ ქალებს ამხ. ბუსიგინი სწერს:

„მჭედელი ქალები ისევე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას, როგორც მემანქანე და მფრინავი ქალები. ქალის სტახანოვური შრომა ანმტკიცებს ჩვენი დიდი სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვით ძლიერებას".

ავტოქარხნის მჭედელი ქალები ახალ წარმატებებს აღწევენ. ისინი გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ ნორმას.

## მოსკოვი 1940 წელს

7 იანვარს გაიმართა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა. განხილულ იქნა საკითხი მოსკოვის მეურნეობის განვითარების 1940 წლის გეგმის შესახებ.

შარშან დედაქალაქის მშრომელებმა მრავალი კეთილმოწყობილი სახლი მიიღეს. აგებულია 27 ახალი სკოლა, 4 აბანო, 7 სამკურნალო დაწესებულება, 59 საბავშვო ბაგა, 44 საბავშვო სახლი და სხვ. გაფართოვდა ტრამვაისა და ტროლეიბუსების ხაზი, აგრეთვე წყალსადენისა და საკანალიზაციო მაგისტრალების ქსელი.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის განვითარებას.

1940 წელს კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული იქნება 490 მილიონი მანეთი. მოსკოველები მიიღებენ ათობით მრავალსართულიან სახლებს, რომელთა საერთო ფართობიც 115 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი იქნება. საგრძნობლად შეივსება ტროლეიბუსისა და ტრამვაის პარკები. გაყვანილი იქნება ახალი სატროლეიბუსო ხაზები.

მდინარე იაუზის ნაპირები ბეტონით შეიმოსება. მდინარე იაუზზე აგებული იქნება ხუთი ხიდი.

მრავალი ქუჩა და მოედანი იქნება ასფალტით მოგებული. გადაწყდა ძირიან-ფესვიანად გარდაიქმნას კომუნის მოედანი და „ტრუბნაია" მოედანი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა მოსკოვის საბჭოს მეურნეობის განვითარების გეგმა და სალაროს გეგმა 1940 წლის პირველი კვარტალისათვის. (საკდესი).

## სედოველები სულ ახლოს არიან

**ყინულმჭრელი „ი. სტალინი",** 8 იანვარი (საკდესის რადიო). დღეს, დაახლოებით დილის 11 საათზე, იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა ყინულებთან ბრძოლა და შევჩერებულიყავით. წინ ძველი ყინულის უზარმაზარი მინდორია. ფლაგმანი დგას და ვითარების გაუმჯობესებას უცდის. სედოველები სულ ახლოს არიან. ისინი ემზადებიან ჩვენთან შესახვედრად და ძალიან სურთ ჩვენკენ ქვეითად წამოსვლა. ჩვენს ყინულმჭრელზედაც არის ბევრი ენტუზიასტი, რომელნიც ითხოვენ „სედოვისაკენ" წასვლის ნებართვას. მაგრამ ამას საჭიროება არ მოითხოვს.

სედოველები ყველანი ჯანსაღად არიან, საუცხოოდ ჰგრძნობენ თავს. კაპიტანი ბადიგინი იუწყება, რომ ისინი სიამოვნებით მიირთმევენ დათვის ხორცის კატლეტებს. „გვიმუქრება"—ყველაფერს შევჭამთ თქვენს მოსვლამდეო.

სედოველთა თანამგზავრი ძაღლები გემიდან შორს გარბიან და ჩვენი მიმართულებით ჰყეფენ.

20 საათისათვის გაჩნდა პატარა ნაპრალი, თუმცა მთლად არაა იმ გზაზე, რომლითაც სედოვი მიდის, მაგრამ ჩვენ კვლავ დავიძარით წინ, რათა გამოვძებნოთ სედოვისაკენ პირდაპირი მიმავალი გზა. 22 საათზე დაიწყო ყინულის დახერგვა. იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით. ვუცდით ქარის შეცვლას.

**ი. პაპანინი**

## „სედოვის" დრეიფის რაიონში

**ყინულმჭრელი „სედოვი",** 9 იანვარი (საკდესის რადიოსპეცკორი). გუშინ „სედოვის" დრეიფის რაიონში ცვალებადი ღრუბლიანობა იყო: დროგამოშვებით ნისლი იდგა. ტემპერატურა დილით უდრიდა მინუს 4,3 გრადუსს, საღამოთი პლუს 1 გრადუსს. დილით ჩრდილო-დასავლეთის 5-ბალიანი ქარი ჰქროდა, საღამოს იგი სამხრეთის ქარად იქცა და 7 ბალს მიაღწია. გამოვარკვიეთ შემდეგი კოორდინატები: ჩრდილოეთის განედის 80 გრადუსი და 46,4 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 02 გრადუსი და 28 წუთი, გემიდან დაახლოებით 500 მეტრზე მოსჩანს ყინულთსაყარი. მარჯვენა ბანის მხარეს არსებული ნაპრალი კვლავ 2-3 მეტრით გაფართოვდა.

გემზე ყველაფერი კარგად არის, ვეწევით მიმდინარე მუშაობას სამანქანო განყოფილებასა და გემბანზე. ეკიპაჟი თავს მხნედ გრძნობს.

**ნ. ბეკასოვი**

## ი. დ. პაპანინის რადიოგრამა დედაქალაქის ხელოვნების ოსტატებს

8 იანვარს, ღამით, სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში შესდგა მამაც სედოველთა ნათესავებისა და დედაქალაქის ხელოვნების ოსტატების შეხვედრა. აქედან მოეწყო დიდი რადიოგადაცემა ყინულმჭრელ „გ. სედოვისა" და „ი. სტალინის" ეკიპაჟისათვის. სსრ კავშირის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში კონცერტის დამთავრების რამდენიმე საათის შემდეგ არქტიკის ფლოტის ფლაგმან ყინულმჭრელ „ი. სტალინიდან" მიღებულია შემდეგი რადიოგრამა:

„ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ექსპედიციის მონაწილენი დიდი ყურადღებით ისმენენ გადმოცემას ჩვენი დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა და სედოველების ნათესავთა შეხვედრის შესახებ. უმხურვალესი მადლობა ჩვენი პოლარელების მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. ჩვენი მსახიობების ხელოვნება სრულფასოვნად და წმინდად აღწევს ჩვენამდე, არქტიკის გულამდე. გულითადი სალამი. პაპანინი". (საკდესი).

## სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

### როგორ იტანენ მოსკოვის ზამთარს სუბტროპიკული მცენარეები

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის ორანჟერიაში ზამთრობენ საქართველოს სუბტროპიკული მცენარენი, წარმოდგენილნი გამოფენაზე გასულ წელს. აქ არის საქართველოს ლიმონი, აჭარული და ამერიკული ჯიშის ფორთოხალი, მანდარინი, გრეიპფრუტი, პომპელმუსი, კინ-კანი და სხვ. პავილიონის მუშაკები გულდასმით უვლიან სამხრეთის ამ ნაზ მცენარეებს, რომლებისთვისაც საშიშია მოსკოვის ყინვიანი ზამთარი.

პავილიონში შექმნილია ჰაერისა და ნიადაგის სათანადო ტემპერატურა, სულ მუდამ აწესრიგებენ ტენიანობას, მცენარეებს აძლევენ სპეციალურ სასუქს და სხვ. ყველა ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო: ლიმონი, გრეიპფრუტი და ფორთოხალი აყვავდა. ყვავილობა ნორმალურად მიმდინარეობს. მანდარინის ხეებზე, კინ-კანებს და პომპელმუსებზე უკვე ხდება სანაყოფო კვირტის გაჟღენთვა და მოკლე ხანში ისინიც აყვავდებიან, ამრიგად, 1940 წლის გამოფენის გახსნისათვის პავილიონის ყველა სუბტროპიკულ მცენარეს ნაყოფი ექნება.

მაისიდან ვეგეტაციას დაიწყებს ჩაის ბუჩქი, აპრილიდან კი ვენახი. (საკდესი).

## კოლმეურნეობებში სამუშაოდ

**ელისტა,** 8 იანვარი (საკდესი). პარტიის ყალმუხეთის ოლქკომში გაიმართა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 70-ზე მეტმა აგრონომმა, ვეტექიმმა, ზოოტექნიკოსმა, რომლებიც მიწსახკომისა და რესპუბლიკის სხვა სახკომატებში მუშაობენ. პარტიის ოლქკომის მდივანმა ამხ. არხიპოვმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უმართებულო გამოყენების ფაქტები. არა სპეციალობის მიხედვით მუშაობენ: მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოში 20 კაცი, რესპუბლიკის სხვადასხვა სახალხო კომისარიატში —39 კაცი. ბოსტნეულთმცოდნე ამხ. ფომიჩევა მემანქანედ მუშაობს, აგრონომი ამხ. კალაშნიკოვა — საქმეთა მმართველად, ვეტფერშალი ამხ. შუმოვი — მოლარედ, ზოოტექნიკოსი ამხ. ტიმოშენკო საერთო განყოფილებას განაგებს. ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის 162 კოლმეურნეობაში 140 ზოოტექნიკოსი აკლიათ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. გამოსული სპეციალისტები მხურვალედ გამოეხმაურნენ „პრავდის" მოწინავეს იმის შესახებ, რომ სპეციალისტთა ძირითადი მასა უშუალოდ წარმოებაში იქნას გამოყენებული. ახალგაზრდა ზოოტექნიკოსმა ამხ. კუგლაკოვმა სთქვა:

— პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ ჩვენ ცოდნის ფართო გზა გაგვიხსნეს. ასეული ათასობით ახალგაზრდა ადამიანებმა უმაღლესი სპეციალური განათლება მიიღეს, უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ჩვენს შორის უმრავლესობამ აპარატებში მოიკალათა, თავისი ცოდნა არ გამოიყენა წარმოებაში, რომელიც სპეციალისტებს საჭიროებს. მზადა ვარ წავიდე კოლმეურნეობაში, რათა პრაქტიკულად მივიღო მონაწილეობა მესამე სტალინური ხუთწლედის მეცხოველეობის პრობლემის გადაწყვეტაში.

შემდეგ ილაპარაკეს ზოოტექნიკოსებმა ამხ. ცებიკოვმა, ჩურკინმა ძუგოვმა და სხვებმა, რომლებმაც ერთსულოვნად გამოსთქვეს კოლმეურნეობაში მუშაობის სურვილი.

თათბირმა მიიღო მიმართვა რესპუბლიკის ყველა სპეციალისტისადმი—სამუშაოდ გადავიდნენ უშუალოდ კოლმეურნეობებში.

## პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება შეიქმნას სრულიად - საკავშირო კომიტეტი პ. ი. ჩაიკოვსკის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად. სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია რ. მ. გლიერი, თავმჯდომარის მოადგილედ—ა. ვ. სოლოდოვნიკოვი, წევრებად: ა. ი. ვიშინსკი, ნ. ა. მიხაილოვი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ბ. ვ. ასაფიევი, ქ. ბაისეიტოვა, ვ. ვ. ბარსოვა, ა. ვ. ბოგატირიოვი, უ. ჰაჯიბეკოვი, ა. ვ. გაუკი, ა. ფ. გედიკე, ა. მ. გერასიმოვი, ვ. რ. გოკიელი, ა. ბ. გოლდენვეიზერი, რ. ი. გრუბერი, ი. ლ. დავიდოვი, ო. ჯაფაროვი, ი. ი. ძერჟინსკი, ტ. ნ. ხრენიკოვი, ნ. მ. დუდინსკაია, ი. ო. დუნაევსკი, კ. ნ. იგუმნოვი, ა. გ. ლუნდინი, ი. მ. მოსკვინი, ა. მალდიბაევი, ნ. ი. მიასკოვსკი, ვ. ი. მუხინა, ა. მულაკანდოვი, ვ. ი. მურადელი, ხ. ნასიროვა, ა. ვ. ნეჟდანოვა, ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ა. მ. პაზოვსკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ს. პიროგოვი, ნ. კ. პეჩკოვსკი, ნ. გ. რახლინი, ლ. ნ. რევუცკი, ს. ა. სამოსუდი, პ. ა. სერებრიაკოვი, ა. გ. უსოვი, ა. ა. ფადეევი, ა. ი. შავერდიანი, ი. ა. შაპორინი, მ. ო. შტეინბერგი, ა. ა. იაბლოჩკინა, ვ. ნ. სურინი.

სრულიად - საკავშირო კომიტეტს დაევალა ერთი დეკადის ვადაში დაამუშაოს და სსრ კავშირის მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს პ. ი. ჩაიკოვსკის ხსოვნის უკვდავყოფისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის მისი შემოქმედების პოპულარიზაციის ღონისძიებათა გეგმა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. სტალინი

# როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური კითხვა?

## 1904 წ. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა"*

### I

ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური კითხვაც". სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე,—ყველა კლასსკი თავისებურად ესმის „ნაციონალური კითხვა". ცხადია, სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ინტერესებს ემსახურება „ნაციონალური კითხვა", სხვა-და-სხვა ელფერს იღებს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას.

იყო ჩვენში, მაგალითათ, ეგრედ წოდებული თავად-აზნაურების „ნაციონალური კითხვა", როცა — „საქართველოს რუსეთთან" შეერთების შემდეგ, ქართველმა თავად-აზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროსა ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა" და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება". ამით მას უნდოდა „საქართველოს" სათავეში ქართველი მეფეები და თავად-აზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარათ, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი". ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ" ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ სახეში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთა შეთქმულობას რუს მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში. საკმარისი იყო ოდნავათ მოხვედროდა ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას", რომ ძირიანათ დაენგრია იგი. და, მართლაც, საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, გაღონიერებულმა მოძრაობამ სოფლელი ღარიბებისა და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავად-აზნაურობას და, მასთან ერთად, „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს". ქართველი თავად-აზნაურობა ორ ჯგუფათ გაიყო. ერთმა მათგანმა უარჰყო ყოველივე „ნაციონალიზმი" და ხელი გაუწოდა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომ, სამაგიეროთ, მიეღო მისგან თბილი ადგილები, იაფ-ფასიანი კრედიტი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომ მთავრობას უზრუნველეყო იგი სოფლის „ბუნტოვშჩიკებისაგან" და სხვა. ხოლო მეორემ — უფრო სუსტმა ჯგუფმა ქართველი თავად-აზნაურობისამ — დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არხიმანდრიტები და, ასე, კლერიკალიზმის კალთაში შეაფარა (ცხოვრებისგან დევნილი „ნაციონალიზმი". ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ანახლებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი „პროგრამისა"!)— „წარსულის დიდების ნაშთებს" — და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული „სურვილები". ამნაირათ, ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში კლერიკალური ფორმა მიიღო.

ამასთანავე თანამედროვე ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენში ბურჟუაზიის ნაციონალური კითხვა; როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ" კაპიტალისტებთან, იგი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა დამოუკიდებელ საქართველოზე: ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა სადამოჯნო წრე შემოევლო ქართული ბაზრისთვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი" ბურჟუაზია, ხელოვნურათ აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული" ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე.

ასეთი იყო და არის მიზანი ქართველ ბურჟუაზიის ნაციონალიზმისა! თქმა არ უნდა, რომ ამ მიზნის განხორციელებას ძალა უნდოდა, ძალა-კი პროლეტარიატშია: მარტო პროლეტარიატს შეეძლო სული ჩაედგა ბურჟუაზიის გამოფიტულ „პატრიოტიზმისთვის". საჭირო იყო პროლეტარიატის მომხრობა, — და აი, სცენაზე გამოვიდნენ „ნაციონალ-დემოკრატები". ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ მეცნიერული სოციალიზმის დასარღვევათ, ბევრი აძაგეს მათ სოციალდემოკრატები და ურჩიეს ქართველ პროლეტარებს—დაშორებოდნენ მათ, აქეს ქართველი პროლეტარიატი და ურჩიეს—„მუშებისავე სასარგებლოთ" გაეძლიერებინათ როგორმე ქართველი ბურჟუაზია, ბევრი ეხვეწნენ ქართველ პროლეტარებს: ნუ ღუპავთ „საქართველოს" (თუ ქართველ ბურჟუაზიას?!), დაივიწყეთ „შინაური უთანხმოება". დაუმეგობრდით ქართველ ბურჟუაზიასო და სხვა ამისთანები. მაგრამ ამაოთ! ბურჟუაზიული პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! დაურიდებელმა იერიშებმა ქართველი მარქსისტებისა და, უფრო კი, მძლავრმა კლასიურმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმათ აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები,—თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან განაძევა.

„შერცხვენილი სახელის აღსადგენათ" საჭირო იყო „ფერი მაინც ეცვალათ" ჩვენს გაქცეულ პატრიოტებს, ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტური აზრებს ვერ შეითვისებდნენ... და მართლაც, სცენაზე ამოცურდა არალეგალური... ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური — უკაცრავად მოხსენებაა — „სოციალისტური" ორგანო „საქართველო"! ასე უნდოდათ მოეხიბლათ ქართველი მუშები! მაგრამ გვიან-ღა იყო! ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს", და არა თავის შეხედულებათა დედაარსი, რომ „საქართველოს" მარტო სახელი აქვს სოციალისტური. — დიახ, მიხვდნენ ამას და სიცილი მიაყარეს საქართველოს „მხსნელებს"! გაუცრუვდათ იმედი „საქართველოს" დონკიხოტებს!

მეორე მხრივ, ჩვენი ეკონომიური განვითარება თანდათან ხიდსა სდებს ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და „რუსეთს" შორის, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ აკავშირებს ამ წრეებს „რუსეთთან" და მით ნიადაგს ურყევს ისედაც შერყეულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ესეც მეორე ლახტი ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს!...

ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ახალი კლასი, პროლეტარიატი, და მასთან ერთად დაიბადა ახალი „ნაციონალური კითხვა", პროლეტარიატის „ნაციონალური კითხვა". რამდენადაც პროლეტარიატი განირჩევა თავად - აზნაურობისა და ბურჟუაზიისაგან, იმდენადვე განირჩევა პროლეტარიატისგან წამოყენებული „ნაციონალური კითხვა" თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის „ნაციონალური კითხვებისაგან".

ეხლა ჩვენ ასეთ „ნაციონალიზმზე" ვილაპარაკებთ.

როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას „ნაციონალური კითხვა?" რუსეთის პროლეტარიატმა კაი ხანია ბრძოლაზე დაიწყო ლაპარაკი. როგორც ვიცით, მიზანი ყოველივე ბრძოლისა — გამარჯვებაა. მაგრამ პროლეტარიატის გამარჯვებისთვის საჭიროა ყველა მუშების შეერთება განურჩევლათ ეროვნებისა. ცხადია, ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდრო შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა — აუცილებელი პირობაა რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებისა. ასეთია რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები.

მაგრამ, რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც დაუძინებელი მტერი რუსეთის პროლეტარიატისა, ყოველთვის წინ ეღობება პროლეტართა შეერთების საქმეს. ის ავაზაკურათ სდევნის რუსეთის „უცხო" ერების ნაციონალურ კულტურას, მათს ენას, ზნეჩვეულებას, დაწესებულებებს; ის ართმევს მათ აუცილებელ მოქალაქობრივ უფლებებს, ყოველ მხრივ ავიწროებს მათ, — ფარისევლურათ სთესს მათ შორის შურსა და მტრობას, ერთმანეთის სისხლს ღვრევინებს და მით აშკარათ გვიჩვენებს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ერთად ერთი მიზანია: ერთმანეთს გადაამტეროს რუსეთის ერები, გაამწვავოს მათ შორის ნაციონალური განხეთქილება, გაამაგროს ნაციონალური კედლები, რომ უფრო კარგათ დააშოროს ერთმანეთს რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო კარგათ დააქუცმაცოს მთელი რუსეთის პროლეტარიატი წვრილ-ნაციონალურ ჯგუფებათ და მით სამარე გაუთხაროს მუშათა კლასიურ თვითშეგნებას, მათს კლასიურ გაერთიანებას.

ასეთია ინტერესები რუსეთის რეაქციისა, ასეთია პოლიტიკა რუსეთის თვითმპყრობელისა. ცხადია, რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები, დღეს თუ ხვალ, აუცილებლათ უნდა შესჯახებოდა მეფის თვითმპყრობელობის რეაქციონურ პოლიტიკას. ეს ასეც მოხდა, და სწორეთ ამ ნიადაგზე დაიბადა „ნაციონალური კითხვა" სოციალ - დემოკრატიაში.

როგორ დავანგრიოთ ერთა შორის აშენებული ნაციონალური კედლები, როგორ მოვსპოთ ნაციონალური კარჩაკეტილობა, რომ უფრო კარგა დავაახლოვოთ ერთმანეთთან რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო მჭიდროთ შევაკავშიროთ ისინი?

ასეთია შინაარსი „ნაციონალური კითხვისა" სოციალ - დემოკრატიაში. დავნაწილდეთ ცალ-ცალკე ნაციონალურ პარტიებათ და მოვაწყოთ ასეთი პარტიების თავისუფალი კავშირიო, — გვიპასუხებენ ფედერალისტი სოციალ - დემოკრატები.

ამასვე გაიძახის „სომეხ მუშათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია".

როგორც ხედავთ, ჩვენ გვირჩევენ ერთ რუსეთის პარტიათ შეერთებას-კი არა ერთი ცენტრით სათავეში — არამედ დანაწილებას რამდენიმე პარტიებათ, რამდენიმე ხელმძღვანელ ცენტრებით,—და ეს სულ კლასიური ერთობის გასაძლიერებლათ! ჩვენ გვინდა რუსეთის სხვა-და-სხვა ერების პროლეტარები ერთმანეთს დავუახლოვოთ. როგორ მოვიქცეთ? დააშორეთ პროლეტარები ერთმანეთს და მიზანს მიაღწევთო! გვიპასუხებენ ფედერალისტი სოციალდემოკრატები. ჩვენ გვინდა პროლეტარები ერთ პარტიად შევაერთოთ. როგორ მოვიქცეთ? — დააქუცმაცეთ რუსეთის პროლეტარიატი ცალკ-ცალკე პარტიებათ და მიზანს მიაღწევთო! გვიპასუხებენ ფედერალისტი სოციალდემოკრატები. ჩვენ გვინდა შევმუსროთ ნაციონალური კედლები. რა ზომები ვიხმაროთ? — გაამაგრეთ ნაციონალური კედლები ორგანიზაციონური კედლებით და მიზანს მიაღწევთო! გვიპასუხებენ ისინი. და ყველა ამას გვირჩევენ ჩვენ, რუსეთის პროლეტარებს, რომლებიც ერთნაირ პოლიტიკურ პირობებში ვიბრძვით, რომლებსაც ერთი და იგივე საერთო მტერი გვყავს! ერთი სიტყვით, გვეუბნებიან: ქენით მტრის გასახარელი საქმე და თქვენი წმინდა მიზანი თქვენივე ხელით დამარხეთო!...

მაგრამ, დავეთანხმოთ ერთ წამს ფედერალისტ სოციალდემოკრატებს და გავყვეთ მათ, — ვნახოთ, სად მიგვიყვანენ: ნათქვამია, მტყუანს სიმტყუნის კარამდე მიჰყევიო.

ვთქვათ, ყური დავუგდეთ ჩვენს ფედერალისტებს და დავაარსეთ ცალკ-ცალკე ნაციონალური პარტიები. რა შედეგი მოჰყვება ამას?

ძნელი არ არის ამის გაგება. თუ დღემდის, სანამ ჩვენ ცენტრალისტები ვიყავით, უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით პროლეტართა საერთო პირობებს, მათი ინტერესების ერთნაირობას—მათს „ნაციონალურ განსხვავებებზე"-კი ვლაპარაკობდით მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ეს არ ეწინააღმდეგება მათს საერთო ინტერესებს,—თუ დღემდის ჩვენთვის უპირველესი კითხვა ის იყო, თუ რით ემგზავსებიან ერთმანეთს რუსეთის ერთა პროლეტარები, რა არის მათ შორის საერთო,—რომ ამ საერთო ინტერესების ნიადაგზე აგვეშენებინა ერთი ცენტრალისტური პარტია მთელი რუსეთის მუშებისა; — დღეს, როცა „ჩვენ" ფედერალისტები გავხდით, ჩვენს ყურადღებას მიიზიდავს ახალი უმთავრესი კითხვა: რითი განირჩევიან ერთმანეთისგან რუსეთის ერთა პროლეტარები, რა განსხვავებაა მათ შორის,— რომ „ნაციონალური განსხვავების" ნიადაგზე ავაშენოთ ცალკე - ცალკე ნაციონალური პარტიები. ამნაირათ, ცენტრალისტისთვის მეორე ხარისხოვანი „ნაციონალური განსხვავება" ფედერალისტისთვის ხდება საძირკვლათ ნაციონალური პარტიებისა.

თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, ადრე თუ გვიან, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ „ნაციონალური" და კიდევ სხვა „განსხვავებანი", მაგალითათ, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორიც სომეხი ბურჟუაზიისა, რომ სომეხ პროლეტარსა და ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე ჩვეულებები აქვთ, რომ ისინი ერთ ხალხს ერთ განუყოფელ „ნაციას" შეადგენენ*) აქედან დიდი მანძილი აღარ არის „საერთო მოქმედების ნიადაგამდის", რომელზედაც უნდა შედგენ ბურჟუებიც და პროლეტარებიც და ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წევრებმა ერთი და იგივე „ნაციისა". ფარისევლური პოლიტიკა თვითმპყრობელი მეფისა „ახალ" გამამართლებელ საბუთათ მოგვევლინება ასეთი მეგობრობისა. კლასთა ანტაგონიზმზე ლაპარაკი „დროს შეუფერებელ დოქტრინერობათ" მოგვეჩვენება. იქ კიდევ ვისიმე პოეტური ხელი უფრო „გაბედულათ" შეეხება ვიწრო ნაციონალურ სიმებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის ერთა პროლეტარებში, და შესაფერ ჰანგზე ააჟღერებს მათ; შოვინისტურ ლათაიობას გაეხსნება კრედიტი (ნდობა), მოყვრები მტრათ მოგვეჩვენება, მტრები მოყვრებათ და — „აირევა მონასტერი", დახურდავდება რუსეთის პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება!... იმის მაგიერ, რომ ნაციონალური კედლები დავანგრიოთ, ჩვენ ფედერალისტების წყალობით, უფრო გავამაგრებთ მათ ორგანიზაციული კედლებით; იმის მაგიერ, რომ პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება წინ წავწიოთ, ჩვენ უკან დავწევთ და განსაცდელში ჩავაგდებთ მას და—„გაიხარებს გული" თვითმპყრობელი მეფისა, რადგან ჩვენისთანა უსასყიდლო თანაშემწეებს ვერას დროს ვერ იშოვიდა!

ნუ თუ ეს იყო ჩვენი მიზანი?!

და, დასასრულ. მაშინ, როდესაც ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ერთი, მოძრავი, ცენტრალისტური პარტია, რომლის ცენტრალური კომიტეტსაც შეეძლება ერთ წამს ფეხზე დააყენოს მთელი რუსეთის მუშები და მძლავრი იერიში მიატანინოს თვითმპყრობელობაზე და ბურჟუაზიაზე, —ჩვენ ხელში გვაჩეჩებენ ტლანქს, ცალკე პარტიებათ დანაწილებულ „ფედერალისტურ კავშირს"! ბასრი იარაღის მაგიერ, ჟანგიანს გვაძლევენ და გვარწმუნებენ, რომ ამით უფრო ბოლოს მოუღებთ თქვენს მოსისხლე მტრებსაო!

აი სად მიგვიყვანენ ფედერალისტ-სოციალდემოკრატები!

მაგრამ რადგან ჩვენ ვცდილობთ „ნაციონალური კედლების გამაგრებას"-კი არა, არამედ მათს დანგრევას; რადგან ჩვენ გვესაჭიროება ჟანგიანი-კი არა, არამედ ბასრი იარაღი, რომ უფრო ძირიანათ ამოვძირკვოთ დღევანდელი უსამართლობა; რადგან ჩვენ მტრის გახარება-კი არა, არამედ მისი გამწარება და მიწასთან გასწორება გვინდა, — ცხადია, ჩვენი წმინდა მოვალეობაა მხარი ავუქციოთ ფედერალისტებს და უკეთესი პასუხი მოვძებნოთ „ნაციონალური კითხვის" გადასაჭრელად.

### II

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით იმაზე თუ როგორ არ უნდა გადავჭრათ „ნაციონალური კითხვა". მოვილაპარაკოთ ახლა იმაზე, თუ როგორ უნდა გადავჭრათ ეს კითხვა, ე. ი. როგორ გადასჭრა ის რუსეთის სოციალ - დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ*).

ყველაზე პირველად საჭიროა გვახსოვდეს, რომ რუსეთში მოქმედმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის თავს რუსეთის პარტია უწოდა (და არა რუსული). ცხადია, ამით მას უნდოდა დაენახვებინა ჩვენთვის, რომ ის თავისი დროშის ქვეშ თავს მოუყრის არა მარტო რუს პროლეტარებს, არამედ რუსეთის ყველა ერების პროლეტარებს და, მაშასადამე, ყოველივე ღონისძიებას იხმარებს ძირს დასცეს მათ შორის აშენებული ნაციონალური კედლები.

შემდეგ, ჩვენმა პარტიამ „ნაციონალურ კითხვას" განუფანტა ბურუსი, რომელიც მას საიდუმლო სახეს აძლევდა, დაანაწილა ეს კითხვა ცალკე ელემენტებათ, მისცა თვითეულ ელემენტს კლასიური მოთხოვნის ელფერი და ცალკე მუხლებათ აღნუსხა პროგრამაში. ამით მან ნათლათ დაგვანახვა, რომ თავის-თავათ აღებულს ეგრეთ წოდებულ „ნაციონალურ ინტერესებს", და „ნაციონალურ მოთხოვნებს" არავითარი ფასი არა აქვს, რომ ეს „ინტერესები" და „მოთხოვნები" ყურადღების ღირსია მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ისინი წინ სწევენ, ან შეუძლიანთ წინ წასწიონ პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება, მისი კლასიური განვითარება.

ყველა ამით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ნათლათ აღნიშნა ის გზა, ის პოზიცია, რომელიც დაიჭირა მან „ნაციონალური კითხვის" გარკვევის დროს.

რა ნაწილებისაგან შესდგება „ნაციონალური კითხვა", რას ითხოვენ ბბ. ფედერალისტ-სოციალ-დემოკრატები?

1) „მოქალაქობრივ თანასწორობას რუსეთის ერებისათვის"?

თქვენ გაღელვებთ რუსეთში გამეფებული მოქალაქობრივი უთანასწორობა? თქვენ გინდათ დაუბრუნოთ რუსეთის ერებს მთავრობისგან წართმეული მოქალაქობრივი უფლებები და ამიტომ ითხოვთ მოქალაქობრივ თანასწორობას ამ ერებისათვის? და განა ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ამ მოთხოვნისა? ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარებისთვის მოქალაქობრივ უფლებებს. მოქალაქობრივი უფლებები — ბრძოლის იარაღია; მათი წართმევა—იარაღის წართმევაა, და ვინ არ იცის, რომ უიარაღო პროლეტარები კარგა ვერ იბრძოლებენ? რუსეთის პროლეტარიატისათვის-კი საჭიროა, რომ რუსეთის ყველა ერების პროლეტარები კარგათ იბრძოდნენ: რადგან რაც უფრო კარგათ იბრძოლებენ ეს პროლეტარები, მით უფრო მეტი კლასიური თვით-შეგნება ექნებათ მათ, და რაც უფრო მეტი კლასიური თვითშეგნება ექნებათ, მით უფრო მჭიდრო იქნება რუსეთის პროლეტარიატის კლასიური ერთობა. დიახ, ყველაფერი ეს ვიცით და ამიტომ მთელი ჩვენი ძალ-ღონით ვიბრძვით და ვიბრძოლებთ რუსეთის ერთა მოქალაქობრივი თანასწორობისთვის! წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-7-ე მუხლი, სადაც პარტია ლაპარაკობს „მოქალაქეთა სრულ თანასწორობაზე, განურჩევლათ სქესისა, სარწმუნოებისა, გვარტომობისა და ეროვნებისა—და დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნების განხორციელებას.

კიდევ რას ითხოვენ სოციალ-დემ.-ფედერალისტები?

2) „ენის თავისუფლებას რუსეთის ერებისათვის"?

თქვენ გაღელვებთ ის ფაქტი, რომ რუსეთის „უცხო" ერების პროლეტარებს თითქმის აკრძალული აქვთ სამშობლო ენაზე სწავლა, სამშობლო ენაზე ლაპარაკი საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში? დიახაც, რომ ასაღელვებელია, ენა—განვითარებისა და ბრძოლის იარაღია. სხვა-და-სხვა ერებს სხვა-და-სხვა ნაირი ენა აქვთ. რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს:—რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ იმ ენით, რომელზედაც უფრო თავისუფლათ შეუძლიანთ სწავლა-განათლება მიიღონ, რომელზედაც უფრო კარგათ შეუძლიანთ ებრძოლონ მტრებს კრებებზე, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში. ამ ნაირ ენათ ცნობილია სამშობლო ენა; „უცხო" ერების პროლეტარებს ართმევენ სამშობლო ენას, და გავჩუმდეთო?! მერე, რა პასუხს აძლევს ამაზე რუსეთის პროლეტარიატს ჩვენი პარტიული პროგრამა? წაიკითხეთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-8-ე მუხლი, რომლის ძალითაც ჩვენი პარტია თხოულობს: „სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღების უფლებას ყველა მცხოვრებთათვის, ამისთვის საჭირო სკოლების დაარსებას სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯით, თვითეული მოქალაქის უფლებას ილაპარაკოს სამშობლო ენაზე ყველა კრებებზე; სამშობლო ენის შემოღებას, სახელმწიფო ენის თანასწორათ, ყველა ადგილობრივ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში"; — წაიკითხეთ ყველა ეს და დარწმუნდებით, რომ რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტია თავის თავზე იღებს ამ მოთხოვნის განხორციელებასაც.

კიდევ რას ითხოვენ სოციალდემ.-ფედერალისტები?

3) „თვითმმართველობას რუსეთის ერებისათვის"?

თქვენ გინდათ ამითი სთქვათ, რომ ერთი და იგივე კანონები არ შეიძლება ერთნაირათ მიუყენოთ რუსეთის სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ადგილებს, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისგან თავისებური ყოფა-ცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით? თქვენ გინდათ, რომ ამისთანა ადგილებს უფლება ჰქონდეთ შეუფარდონ თავიანთ ცხოვრებას საერთო სახელმწიფო კანონები? თუ ეს ასეა, თუ თქვენს მოთხოვნას ასეთი შინაარსი აქვს,—მაშინ საჭიროა ფორმაც შესაფერი მისცეთ მას, საჭიროა თავი დაანებოთ ნაციონალისტურ ბუნდოვანობას და საგანს თავისი სახელი დაარქვათ. და თუ ამ რჩევას დაეთანხმებით,—დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ ჩვენ არაფერი არა გვაქვს ამისთანა მოთხოვნის წინააღმდეგ. ჩვენთვის თავისთავად ცხადია, რომ რუსეთის სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ადგილებმა, რომლებიც განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისგან თავისებური ყოფა-ცხოვრებით და მცხოვრებთა ვინაობით, არ შეიძლება ერთნაირათ გამოიყენონ სახელმწიფო კონსტიტუცია, თუ-კი ჩვენ ვცდებით ამ კონსტიტუციის ყველგან ერთნაირათ განხორციელებას,—რომ საჭიროა ამისთანა ადგილებს უფლება ჰქონდეთ—იმ ფორმაში განახორციელონ საერთო სახელმწიფო კონსტიტუცია, რა ფორმაშიაც უფრო მეტ სარგებლობას მოიპოვებენ, რა ფორმაშიაც უფრო სავსებით განავითარებენ ხალხში არსებულ პოლიტიკურ ძალებს. ამას თხოულობს რუსეთის პროლეტართა კლასიური ინტერესები. და თუ გადაიკითხავთ ჩვენი პარტიული პროგრამის მე-3-ე მუხლს, სადაც პარტია „სათემო ან სამაზრო თვითმმართველობას" მოითხოვს „იმ ადგილებისთვის, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური ყოფა-ცხოვრების პირობებით და მცხოვრებთა ვინაობით" — დაინახავთ, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას ჯერ ნაციონალისტური ბურუსისაგან გაუნთავისუფლებია ეს მოთხოვნა და მერე თავის თავზე უდვია მისი განხორციელება.

4) თქვენ გვითითებთ მეფის თვითმპყრობელობაზე, რომელიც მხეცურათ სდევნის რუსეთის „უცხო" ერთა „ნაციონალურ კულტურას", რომელიც ავაზაკურათ ერევა მათ შინაგანს ცხოვრებაში და ყოველ მხრივ ავიწროებს, რომელმაც ბარბაროსულათ დაანგრია (და ანგრევს დღესაც) ფინლიანდიელთა კულტურული დაწესებულებანი, ყაჩაღურათ მიიტაცა სომეხთა ნაციონალური ქონება და სხვა? თქვენ თხოულობთ გარანტიას თვითმპყრობელობის ავაზაკურ ძალ-მომრეობისაგან? და განა ჩვენ ვერა ვხედავთ მეფის თვითმპყრობელობის ძალმომრეობას. განა ჩვენ ყოველთვის არ ვებრძოდით ამ ძალ-მომრეობას?! დღეს ყველასათვის თვალ-საჩინოა, თუ როგორ ავიწროებს და სულსა ხუთავს დღევანდელი მთავრობა რუსეთის „უცხო" ერებს. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ მთავრობის ესეთი პოლიტიკა დღე-და-დღე რყვნის და განსაცდელში აგდებს რუსეთის პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნებას. მაშასადამე, ჩვენ ყველგან და ყოველთვის შეურიგებლად ვებრძოდით მეფის მთავრობის გამათახსირებელ პოლიტიკას; მაშასადამე, ჩვენ ყოველგან და ყოველთვის დავიცავთ თვითმპყრობელობის პოლიციური ძალ-მომრეობისაგან ამ ერთა არამც თუ ხეირიან, არამედ უხეირო დაწესებულებებსაც: რადგან რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები ჩაგვჩურჩულებს, რომ მარტო თვით ერებს აქვთ უფლება მოსპონ, ან განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურის ესა თუ ის მხარე. მაგრამ წაიკითხეთ ჩვენი პროგრამის მე-9 მუხლი. განა ამაზე არა ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამის მე-9-ე მუხლი, რომელმაც—აქვე შევნიშნავ — დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მტრებში თუ მოყვრებში... მაგრამ აქ სიტყვას გვაწყვეტინებენ, ჩვენ გვირჩევენ სრულიათ მივანებოთ თავი მე-9-ე მუხლზე ლაპარაკს. მერე, რატომ? ვკითხულობთ ჩვენ. „მიტომაო" — გვიპასუხებენ—რომ ეს მუხლი ჩვენი პროგრამისა „ძირეულათ ეწინააღმდეგება" იმავე პროგრამის მე-3, 7 და 8 მუხლებს; რომ თუ ერებს ეძლევათ უფლება თავის ნებაზე მოაწყონ ყველა ნაციონალური საქმეები (იხ. 9 მუხლი), მაშინ არავითარი ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ ხსენებულ პროგრამაში მე-3, 7 და 8 მუხლებს, — და, პირიქით, თუ ეს მუხლები არსებობს პროგრამაში, მაშინ უეჭველათ უნდა გამოირიცხოს პროგრამიდან მე-9 მუხლი. უეჭველია რაღაცა ამგვარს ლაპარაკობს „საქართველო"*), როცა ის ჩვეულებრივი ქარაფშუტობით გვეკითხება: „რა ლოღიკაა—ვუთხრა ერს, — მე გაძლევ შენ ოლქის თვითმმართველობას, და იმავე დროს მოაგონო, რომ მას უფლება აქვს თავის ნებაზე მოაწყოს ყველა ნაციონალური საქმეები"? (იხ. № 9 „საქართველო"). „სჩანს", ლოღიკური წინააღმდეგობა შეგვპარვია პროგრამაში, „სჩანს", საჭიროა ამ წინააღმდეგობის ასაცილებლად გამოვრიცხოთ პროგრამიდან რომელიმე ან რამდენიმე მუხლი! დიახ, „უეჭველათ" უნდა გამოვრიცხოთ, თორემ, როგორ იქნება: ხომ ხედავთ, ლოღიკა ჯავრდება უღლიკო „საქართველოს" პირით.

ერთი ძველი თქმულება მაგონდება. იყო ერთი „ბრძენი - ანატომი". მას „ყველაფერი" ჰქონდა, რაც-კი რამ ესაჭიროებოდა „ნამდვილ" ანატომს: დიპლომი, სახლი, იარაღები, აზირებული პრეტენზია, არა ჰქონდა მხოლოთ მცირე რამ— ანატომიური ცოდნა. ერთხელ მას მიმართეს და სთხოვეს აეხსნა, თუ რა კავშირი არსებობს სკელეტის ნაწილთა შორის, რომლებიც მას ანატომიურ სტოლზე ჰქონდა გაფანტული. ამ ნაირათ, მიეცა შემთხვევა თავი გამოეჩინა ჩვენს „დიდებულ ბრძენს". „ბრძენმა" დიდის ამბითა და ზეიმით მიჰყო ხელი „საქმეს"! მაგრამ ვაიმე უბედურებას! —„ბრძენს" ინჩი არ ესმოდა ანატომიიდან, მან არ იცოდა რომელი ნაწილი რომლისთვის მიეყენებინა, რომ ბოლოს მთელი სკელეტი გამოსულიყო! ბევრი იცოდვილა საწყალმა. ბევრი ოფლი დაღვარა, მაგრამ ამაოთ! ბოლოს, როცა გზა-კვალი აერია და ვეღარ გაიგო-რა, აიღო რამდენიმე ნაწილი სკელეტისა, შორს გადასტყორცნა და თანაც ფილოსოფიურათ დააგინა „ბოროტ-გამზრახველებს", რომლებმაც ვითომდა „ყალბი ნაწილები" დაუწყეს მას სტოლზე. მაყურებლებმა, რა თქმა უნდა, სიცილი მიაყარეს „ბრძენ-ანატომს".

ასეთივე „ოინი" დამართა „საქართველოს". მას მოუნდომებია ჩვენი პარტიული პროგრამის გარჩევა, მაგრამ არ სცოდნია რა არის ჩვენი პროგრამა და როგორ უნდა გაარჩიო ის, ვერ გაუგია, რა კავშირი არსებობს ამ პროგრამის მუხლებს შორის, და რას წარმოადგენს თვითეული მუხლი ამ პროგრამისა, — და აი, „ფილოსოფიურათ" გვირჩევს: რადგან ესა და ეს მუხლები თქვენი პროგრამისა ვერ გავიგე, ამიტომ (?!) საჭიროა გაადევნოთ ისინი პროგრამიდანო.

მაგრამ მე არ მინდა საცინლათ ავიგდოთ ისედაც სასაცილო „საქართველო": წაქცეულს არა სცემენო, ნათქვამია! პირიქით, მე თანახმაც-კი ვარ გავაგებინო რამე მას ჩვენი პროგრამის ახსნა-გარჩევაში, მხოლოთ იმ პირობით-კი, რომ 1) მან თავისივე პირით აღიაროს თავისი რიხიანი უვიცობა, 2) გულ-მოდგინეთ დამიგდოს ყური და 3) შეურიგდეს ლოღიკას.*)

საქმე აი რაშია. მე-3, 7 და 8 მუხლი ჩვენი პროგრამისა აღმოცენდა პოლიტიკური ცენტრალიზმის ნიადაგზე. როცა ეს მუხლები შეჰქონდა რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას თავის პროგრამაში, ის იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ ეგრეთ წოდებულ „საბოლოო" გადაჭრა „ნაციონალური კითხვისა", ე. ი. „განთავისუფლება" რუსეთის „უცხო" ერებისა, საზოგადოთ რომ ვთქვათ, — შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია. მიზეზი ამისი ორნაირია: ჯერ ერთი ის, რომ დღევანდელი ეკონომიური წინსვლა თან-და-თან ხიდსა სდებს „უცხო ერებსა" და „რუსეთს" შორის, უფრო და უფრო აკავშირებს მათ ერთმანეთთან და მით მეგობრულ გრძნობებსა ბადებს ამ ერების ბურჟუაზიის ხელმძღვანელ წრეებში, რაც ნიადაგს აცლის მათს „ნაციონალურ - განმათავისუფლებელ" მისწრაფებებს; და მეორეთ ის, რომ „ნაციონალურ-განმათავისუფლებელ" მოძრაობას საერთოთ რომ ვთქვათ, მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა ასეთი მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლოთ ხდებოდა, და პროლეტარიატს-კი კლასიურ თვითშეგნებას ურყვნიდა და ამახინჯებდა. ამ საერთო შეხედულებამ დაბადა პოლიტიკური ცენტრალიზმის აზრი და მისგან გამომდინარე მე-3, 7, 8 მუხლები ჩვენი პარტიული პროგრამისა.

მაგრამ ეს, როგორც ზემოთაც ვთქვით, საზოგადო შეხედულებაა. შესაძლებელია იმნაირათ მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომ „უცხო" ერების ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა „ნაციონალური განთავისუფლება" მოინდომონ.

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნების განვითარებისთვის.

როგორ მოიქცეს მაშინ ჩვენი პარტია?

აი, სწორეთ ამისთანა შესაძლებელი შემთხვევებისთვის არის ჩართული ჩვენს პროგრამაში მე-9 მუხლი, სწორეთ ამისთანა შესაძლებელი გარემოებებისთვის ეძლევა ერებს უფლება, რომლის ძალითაც ისინი ეცდებიან თავისი სურვილების თანახმათ მოაწყონ (მაგალითათ, „განთავისუფლდენ") თავიანთი ნაციონალური საქმეები.

ჩვენი პარტია, ის პარტია, რომელსაც მიზნათ აქვს წინ წაუძღვეს მთელი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს, — უნდა მომზადებული შეხვდეს ასეთ შესაძლებელ შემთხვევებს პროლეტარიატის ცხოვრებაში და ამიტომ შესაფერი მუხლი ჩაურთო მან თავის პროგრამაში. ასე მოიქცევა ყველა წინდახედული, შორს გამჭვრეტელი პარტია.

მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, „საქართველოს" „ბრძენებს" და აგრეთვე ზოგიერთა ფედერალისტ-სოციალდემოკრატებს არ აკმაყოფილებს მე-9 მუხლის ესეთი შინაარსი. ისინი „გადაჭრილს", „პირდაპირ" პასუხს გვთხოვენ კითხვაზე: სასარგებლოა, თუ საზარალო „ნაციონალური დამოუკიდებლობა" პროლეტარიატისთვის?*)

მე მომაგონდა გასული საუკუნის მე-50-ე წლების რუსი მეტაფიზიკები, რომლებიც ჩაციებით ეკითხებოდნენ მაშინდელ დიალექტიკებს: სასარგებლოა, თუ საზარალოა წვიმა მოსავლისთვისო, და სთხოვდენ მათ „გადაჭრილ" პასუხს. დიალექტიკებმა ადვილათ დაამტკიცეს, რომ კითხვის ესე დაყენება სრულიად არა მეცნიერულია, რომ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირათ უნდა ვპასუხობდეთ ამისთანა კითხვაზე, რომ გვალვიან დროს რა თქმა უნდა სასარგებლოა წვიმა და წვიმიან დროს — უსარგებლო და ხშირად საზარალოც, რომ, მაშასადამე, მტკნარი სისულელეა „გადაჭრილი" პასუხის მოთხოვნა ამისთანა კითხვაზე და სხ.

მაგრამ უსარგებლოთ ჩაიარა „საქართველოსთვის" ამისთანა მაგალითებმა!

ესეთსავე „გადაჭრილ" პასუხს სთხოვდნენ ბერნშტეინის მიმდევრები მარქსისტებს კითხვაზე: სასარგებლოა, თუ საზარალო პროლეტარიატისთვის კოოპერატივები (ე. ი. მომხმარებელ-მწარმოებელთ ამხანაგობები)? მარქსისტებმა ადვილათ დაამტკიცეს უშინაარსობა ყველა ამისთანა კითხვის, მათ სულ უბრალოთ ახსნეს, რომ ყველაფერი დროზე და ადგილზეა დამოკიდებული. რომ იქ, სადაც პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება სასურველ წერტილამდეა აწეული, სადაც პროლეტარები შეერთებული არიან ერთ მაგარ პოლიტიკურ პარტიათ — იქ კოოპერატივები დიდ სარგებლობას მოუტანს პროლეტარიატს, თუ მათს დაარსებას და ხელმძღვანელობას თვითონ პარტია იკისრებს; იქ-კი, სადაც ეს პირობები არ არსებობს, — საზარალოა კოოპერატივები პროლეტარიატისთვის, რადგან ვაჭრულ ხასიათს და ერთგვარ კარჩაკეტილობას ბადებს მუშებში, და, ამგვარათ, ამახინჯებს მათს კლასიურ თვითშეგნებას.

მაგრამ ამ მაგალითმაც უნაყოფოთ ჩაიარა „საქართველოისტებისთვის". ისინი უფრო დაჟინებით გვეკითხებიან: სასარგებლოა, თუ საზარალო პროლეტარიატისთვის ნაციონალური დამოუკიდებლობაო? მოგვეცით გადაჭრილი პასუხიო!

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ის გარემოებები, რომლებსაც შეუძლიანთ დაბადონ და განავითარონ „უცხო" ერთა ბურჟუაზიაში „ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი" მოძრაობა, — ის გარემოებები ჯერ არ არსებობენ, და არც აუცილებელ რამეს წარმოადგენენ მომავალში, არამედ მიღებული არიან ჩვენგან სახეში, როგორც შესაძლებელი გარემოებები. გარდა ამისა, ჯერ ხომ შეუძლებელიც არ არის ვიცოდეთ, თუ რა საფეხურზე იქნება მაშინ პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება, რამდენათ სასარგებლო, ან საზარალო იქნება ეს მოძრაობა პროლეტარიატისთვის! მაშ რა ნიადაგზე ავაშენოთ*) „გადაჭრილი" პასუხი ამ კითხვაზე, საიდან გამოვიყვანოთ ის? და სისულელე არ არის ესე აზირებულათ „გადაჭრილი" პასუხის მოთხოვნა?

ცხადია, თვით „უცხო" ერებს უნდა მივანდოთ ამ კითხვის გადაჭ-

---

*) გამოქვეყნებულია ჟურნალების „ბოლშევიკისა" და „პარტიინოე სტროიტელსტვოს" 1939 წლის № 23-24.

*) „სომეხ-მუშათა სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ" ეხლახან გადასდგა ეს სახელოვანი ბიჯი. ის თავის „მანიფესტში" გადაჭრით გვეუბნება, რომ „არ შეიძლება (სომეხი, ი. ს.) პროლეტარიატი გამოაცალკევო (სომეხი, ი. ს.) საზოგადოებისაგან: შეერთებული (სომეხი) პროლეტარიატი უგონიერესი და უძლიერესი ორგანო უნდა იყვეს სომეხი ხალხისა". რომ „სოციალისტურ ორგანიზაციით შეერთებული სომეხი პროლეტარიატი უნდა ცდილობდეს სომეხთა „საზოგადოებრივი აზრის გამორკვევას, რომ სომეხი პროლეტარიატი იქნება ღვიძლი შვილი თავისი ტომისა"-ო და სხვ.. (იხ. 3 მუხლი „სომ. მუშათა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის" მანიფესტისა).

ჯერ ერთი, გაუგებარია: რატომ „არ შეიძლება გამოვაცალკევოთ სომეხი პროლეტარიატი სომეხი საზოგადოებისაგან", თუ-კი ეს „გამოცალკევება" ყოველ ფეხის გადადგმაზე ხდება? განა შეერთებული სომეხი პროლეტარიატი არ „გამოცალკევდა" სომეხ საზოგადოებისაგან, როცა მან 1900 წ. (ტფილისში) ომი გამოუცხადა სომეხ ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულათ მოაზრე სომხებს?! ანდა, რას წარმოადგენს თვით „სომ. მუშ. სოც.-დემოკრ. ორგანიზაცია", თუ არა კლასიურ ორგანიზაციას სომეხ პროლეტარებისა, რომლებიც „გამოცალკევდენ" სომეხი საზოგადოების სხვა კლასებისგან" ან იქნება „სომ. მუშ. სოც.-დემოკრ. ორგანიზაცია" ყ ვ ე ლ ა კლასების ორგანიზაციაა!?. მერე, მებრძოლ სომეხ პროლეტარიატს შეუძლიან დაკმაყოფილდეს „სომეხთა საზოგადოებრივი აზრის გამორკვევით", ვალდებული არ არის ის წინ წავიდეს, ბრძოლა გამოუცხადოს ამ თავით-ბოლომდე ბურჟუაზიულ „საზოგადოებრივ აზრს" და რევოლუციონური სული ჩაბეროს მას? ფაქტები გვეუბნება—ვალდებულიაო. და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ცხადია, რომ „მანიფესტს" მკითხველის ყურადღება უნდა მიექცია „საზოგადოებრივი აზრის გამორკვევაზე"-კი არა, არამედ ამ აზრთან ბრძოლაზე, მისი გარევოლუციონერების საჭიროებაზე; ამით უფრო ლახასიათებდა „სოციალისტურ პროლეტარიატის" ვალდებულებს, და ბოლოს, შეუძლია სომეხ პროლეტარიატს „ღვიძლი შვილი იყვეს თავისი ტომისა", როცა ერთი ნაწილი ამ ტომისა—სომეხი ბურჟუაზია—ბობღასავით სწუწნის მას სისხლს, და მეორე-კი—სომეხი სამღვდელოება — გარდა იმისა, რომ სისხლსა სწოვს მუშებს, სისტემატიურათ ურყვნის შეგნებას? ყველა ეს კითხვები უბრალო და აუცილებელია, თუ საქმეს კლასთა ბრძოლის თვალთახედვის ისარით შევხედავთ, მაგრამ „მანიფესტის" ავტორები ვერ ამჩნევენ ამ კითხვებს, რადგან ისინი უყურებენ საქმეს ფედერალისტ-ნაციონალისტური თვალთახედვის ისარით, რომელიც მათ ბუნდისაგან (ებრაელ მუშათა კავშირი) გადაიღეს. და საზოგადოთ, „მანიფესტის" ავტორებს, თითქოს, მიზნათ ჰქონიათ—ყველაფერში ბუნდს მიბაძონ. მათ თავიანთ „მანიფესტში" მეორე მუხლაც-კი შეუტანიათ ბუნდის V კრების რეზოლუციისა „ბუნდის ადგილზე პარტიაში"; ისინი სომ. მუშ. სოც.-დემ. ორგანიზაციას ერთადერთ დამცველ იძახიან სომეხი პროლეტარების ინტერესებისა (იხ. 3 მუხლი ნაჩვენები „მანიფესტისა"). „მანიფესტის" ავტორებს დავიწყებიათ, რომ ჩვენი პარტიის კავკასიელი კომიტეტები რამდენიმე წელიწადია, რაც წარმომადგენლებათ ითვლებიან სომეხი (და სხვა) პროლეტარებისა კავკასიაში, რომ ისინი ავითარებენ მათში კლასიურ თვითშეგნებას სიტყვიერი და ბეჭდვითი პროპაგანდა-აგიტაციით სომხურ ენაზე, წინ უძღვიან მათ ბრძოლის დროს და სხვ., მაშინ როდესაც „სომ. მუშ. სოც.-დემ. ორგანიზაცია" გუშინ-წინ დაიბადა. ყველაფერი ეს დავიწყებიათ მათ და, იმედია, კიდევ ბევრ რამეს დაივიწყებენ, ოღონდაც-კი ზედმიწევნით გადმობაძონ ბუნდის ორგანიზაციული და პოლიტიკური შეხედულებანი.

*) მეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ ქვემოთ ნალაპარაკევი წარმოადგენს კომენტარებს ჩვენი პარტიული პროგრამის იმ მუხლებისა, რომლებიც ნაციონალურ კითხვას ეხება.

*) ჩვენ აქ „საქართველოს" ვეხებით მხოლოთ იმიტომ, რომ უფრო კარგათ გამოვარკვიოთ მე-9 მუხლის შინაარსი. ამ წერილის მიზანია ფედერალისტ - სოციალდემოკრატების კრიტიკა, და არა „საქართველოისტების", რომლებიც ძირეულათ განირჩევიან პირველებისაგან (იხ. I თავი).

*) საჭიროა ვამცნო მკითხველს, რომ „საქართველომ" პირველ №-დანვე ომი გამოუცხადა ლოღიკას, როგორც ბორკილს, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. არ უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ „საქართველო" ხშირათ ლოღიკის სახელით ლაპარაკობს. ამას ის თავისი ქარაფშუტობითა და გულმავიწყობით შვრება.

*) იხ. „წერილი ძველი (ე. ი. დაძველებული?) რევოლუციონერისა" № 9 „საქართვ.".

*) ბბ. „საქართველოისტები" მიწაზე ქვიშაზე აშენებენ თავიანთ მოთხოვნებს და ვერ წარმოუდგენიათ იმისთანა ხალხის არსებობა, რომლებიც უფრო მაგარ ნიადაგს მოუძებნიან თავიანთ მოთხოვნებს!

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

## Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

# ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

## (ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

1905 წ. გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ *

წავიდა ის დრო, როცა თამამათ იძახდნენ: „ერთი და განუყოფელი რუსეთიო“. დღეს ბალღმაც-კი გაიგო, რომ „ერთი და განუყოფელი“ რუსეთი არ არსებობს, რომ ის კარგა ხანია ორ მოპირდაპირე კლასათ გაიყო: ბურჟუაზიათ და პროლეტარიატათ; დღეს დაფარული აღარავისათვის არის, რომ ბრძოლა ამ ორ კლასთა შორის გადაიქცა იმ ღერძათ, რომლის გარშემოც ტრიალებს ჩვენი დღევანდელი ცხოვრება.

ძიან, ეს დაფარული აღარავისთვის არის დღეს.

მიუხედავათ ამისა, ყველა ეს დღემდის ძნელი შესამჩნევი იყო, — და ეს იმიტომ, რომ დღემდის ბრძოლის ველზე მხოლოდ კერძო ჯგუფებსა ვხედავდით, რომ მხოლოდ კერძო ჯგუფები იბრძოდნენ ცალკე ქალაქებსა და კუთხეებში, და პროლეტარიატი და ბურჟუაზია, როგორც კლასები, არ სჩანდნენ. ძნელი დასანახი იყვნენ. მაგრამ აი, ქალაქები და რაიონები შეკავშირდნენ, პროლეტარიატის სხვა-და-სხვა ჯგუფებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, იფეთქა საერთო გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა, — და ჩვენს წინ გადიშალა დიდებული სურათი ორ რუსეთთა შორის, ბურჟუაზიულ რუსეთსა და პროლეტარულ რუსეთს შორის ბრძოლისა. ორი დიდი არმია გამოვიდა ბრძოლის მოედანზე: არმია პროლეტარებისა და არმია ბურჟუებისა, და ბრძოლამ ამ ორ არმიათა შორის მოიცვა მთელი ჩვენი დღევანდელი ისტორია.

[illegible]

...რო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს.

ნათქვამი, ჩვენი აზრით, დიდს დამტკიცებას არ საჭიროებს; რადგანაც თავის-თავათ ცხადია, რომ სანამ კაპიტალისტური წესები არსებობს, რომლებსაც მუდამ თან ახლავს ხალხის სიღატაკე და განუვითარებლობა, — მთელი პროლეტარიატი ვერ შესძლებს სასურველ შეგნებამდე ამაღლებას; რომ საჭიროა, მაშასადამე, ჯგუფი შეგნებული ხელმძღვანელებისა, რომელიც სოციალისტურათ გაანათლებს პროლეტართა არმიას, შეაერთებს მას და წინ წაუძღვება ბრძოლის დროს. ცხადია აგრეთვე ის, რომ პარტია, რომელსაც მიზნათ აქვს **მებრძოლი** პროლეტარიატის წინამძღოლობა, ერთეულთა ხროვას-კი არა, — მჭიდრო ცენტრალისტური **ორგანიზაციას** უნდა წარმოადგენდეს, რომ შესაძლებელი იყვეს მისი ერთ გეგმაზე ამოქმედება.

ასეთია მოკლეთ ჩვენი პარტიის საერთო ფიზიონომია.

დავიხსომოთ ყველა ეს და გადავიდეთ ჩვენს უმთავრეს კითხვაზე: ვის შეიძლება დავარქვათ პარტიის წევრი? პარტიული წესდების პირველი მუხლი, რომლის გამოც არის დაწერილი ეს სტატია, სწორეთ ამ კითხვას ეხება. მაშ განვიხილოთ ეს კითხვა.

მაშასადამე, ვის შეიძლება დავარქვათ რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის წევრი, ე. ი. რა მოვალეობა აქვს პარტიის წევრს?

[illegible]

„მიიღებს“ პარტიულ პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციონურ შეხედულებას და ყბედობის მეტს-კი არაფერს გააკეთებს. პარტიის წმინდათა-წმინდის შემწიკვლა იქნებოდა, რომ ამისთანა ყბედისთვის პარტიის წევრი (ე. ი. პროლეტართა არმიის წინამძღოლი) დაგვერქმია! ესეც რო არ იყვეს, ჩვენი პარტია ფილოსოფიური სკოლა ხომ არაა, ან რელიგიოზური სექტა, — განა ჩვენი პარტია **ბრძოლის** პარტია არ არის? და თუ ეს ასეა, განა თავისთავათ ცხადი არ არის, რომ ჩვენს პარტიას ვერ დააკმაყოფილებს მისი პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციონური შეხედულების პლატონიური **მიღება**, რომ ის თავის წევრს უეჭველათ მოსთხოვს მიღებული აზრების **განხორციელებას?** მაშასადამე, ვისაც ჩვენს პარტიაში წევრობა უნდა, მან არ უნდა იკმაროს პარტიის პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციონურ შეხედულებათა მიღება და ხელი უნდა მიჰყოს ამ შეხედულებათა განხორციელებას, მათს ცხოვრებაში გატარებას.

მაგრამ რას ნიშნავს პარტიის წევრისთვის პარტიული შეხედულებების განხორციელება? როდის შეუძლიან მას ეს შეხედულებები განახორციელოს? მხოლოდ მაშინ, როცა ის იბრძვის, როცა ის მთელ პარტიასთან ერთად მიუძღვის წინ პროლეტართა არმიას. შესაძლებელია ცალ-ცალკე, დაშლილათ ბრძოლა? რა თქმა უნდა არა! პირ-იქით, — ადამიანები ჯერ ერთდებიან, ჯერ ორგანიზაციებათ ეწყობიან და მერე საბრძოლათ გადიან. უამისოთ უნაყოფოა ყოველივე ბრძოლა. ცხადია, პარტიის წევრებსაც მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ იბრძოლონ და, მაშასადამე, განახორციელონ პარტიული შეხედულებანი, როცა ისინი მჭიდრო **ორგანიზაციათ** შეირთდებიან; ცხადია აგრეთვე, რომ რაც უფრო მჭიდრო ორგანიზაციათ შეერთდებიან პარტიის წევრები, მით უფრო კარგა იბრძოლებენ, მაშასადამე, მით უფრო სავსებით განა...

[illegible]

...ულ ორგანიზაციაში“) შესვლა. მხოლოთ მაშინ, როცა ერთ ერთ პარტიულ ორგანიზაციაში შევალთ და, ამ გვარათ, ჩვენს პირად ინტერესებს პარტიის ინტერესებთან შევასისხლხორცებთ, — მხოლოთ მაშინ შეგვიძლიან ნამდვილი წინამძღოლობა გაუწიოთ პროლეტართა არმიას და პარტიის წევრებათ ჩავირიცხოთ.

თუ ჩვენი პარტია წინამძღოლთა **ორგანიზაციაა**, რომელიც ცენტრალური კომიტეტის მიოხებით ღირსეულათ მიუძღვის წინ პროლეტართა არმიას, და არა ხროვა ყბედი-ერთეულებისა, — მაშინ ყველა ზემოთნათქვამი თავისთავათ ცხადია.

საჭიროა შევნიშნოთ კიდევ აი რა.

დღემდის ჩვენი პარტია სტუმართმოყვარე პატრიარქალურ ოჯახობას წააგავდა, რომელიც მზათ არის მიითვისოს ყველა თანამგრძნობი. მას მერე-კი, რაც ჩვენი პარტია ცენტრალისტურ **ორგანიზაციათ** გადაიქცა, მან გადიყარა პატრიარქალური იერი და სავსებით დაემზგავსა **სიმაგრეს**, რომლის კარებიც გაიღება მხოლოთ ღირსეულთათვის. ამას-კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ცდილობს გარყვნას პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნება „ტრედიუნიონიზმით“, ნაციონალიზმით, კლერიკალიზმით და სხვა ამისთანებით; როცა, მეორე მხრივ, ლიბერალური ინტელიგენცია დაჟინებითა ცდილობს პოლიტიკური თვითმოქმედება მოუკლას პროლეტარიატს და მფარველობა მოიპოვოს იმაზე, — ამისთანა დროს ჩვენ დიდი სიფხიზლე გვმართებს და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი პარტია — **სიმაგრეა**, რომლის კარები მხოლოთ ღირსეულთათვის გაიღება.

ჩვენ გამოვარკვიეთ ორი აუცილებელი პირობა (პროგრამის მიღება და პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობა) პარტიაში წევრობისა. თუ ამას მესამე პირობასაც მივუმატებთ, რომელიც ნივთიერ დახმარებას აკისრებს პარტიის წევრს, — მაშინ ჩვენ ხელში გვექნება ყველა ის პირობები, რომ...

[illegible]

...ს ორგანიზაციაა, და არა ერთეულების ხროვა.

ამაშია ამ განმარტების უდიდესი ღირსება.

მაგრამ აი გამოჩნდნენ ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც წუნს სდებენ ამხ. ლენინის განმარტებას, როგორც „ვიწროს“ და „უხერხულს“.

[illegible]

...პარტიის წევრი იყვეს.

ესეც შენი „ხერხიანი“ განმარტება!

ჩვენ ვამბობთ, რომ პარტიის ნამდვილი წევრები არა შემთხვევაში არ უნდა კმაყოფილდებოდნენ პარტიული პროგრამის მარტოოდენ მიღებით, რომ ისინი აუცილებლათ უნდა ცდილობდნენ მიღებული პროგრამის განხორციელებას. მარტოვი გვიპასუხებს: მეტის-მეტ მკაცრათ იქცევით, არც ეგრე საჭიროა პარტიის წევრისთვის მიღებული პროგრამის განხორციელება, თუ-კი ის არ დაიშურებს პარტიისთვის ნივთიერ დახმარებასა და სხვა. მარტოვს თითქოს ებრალება ზოგიერთი ყბედი „სოციალდემოკრატი“ და არ უნდა ჩაუკეტოს მათ პარტიის კარები.

ჩვენ განვაგრძობთ, რომ რადგანაც პროგრამის განხორციელებათ ბრძოლაა საჭირო და ბრძო...

[illegible]

მარტოვს თითქოს შესცოდებია ზოგიერთი პროფესორები და გიმნაზისტები, რომლებსაც ვერ გადაუწყვეტიათ თავიანთი სურვილები პარტიის სურვილებს, პარტიულ დისციპლინას დაუმორჩილონ, — და ამიტომ ვეება ნაპრალს აკეთებს ჩვენი პარტიის სიმაგრეში, საიდანაც კონტრაბანდით მაინც შემოძვრებიან ჩვენს პარტიაში ეს პატივცემული ვაჟბატონები. ის კარებს უღებს ოპორტუნიზმს და ისიც იმ დროს, როცა პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნებას ათასი მტერი მოადგა!

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე იმაშია, რომ მარტოვის განმარტების წყალობით ოპორტუნიზმის შესაძლებლობა ჩვენს პარტიაში მეორე მხრიდანაც ჩნდება.

მარტოვის განმარტებაში, როგორც ვიცით, მარტო პროგრამის მიღებაზეა ლაპარაკი; ტაქტიკაზე და...

[illegible]

...უნდა იყოს ამ არმიასაც უნდა დაეწყოს ისეთი რაზმი, როგორიცაა წინამძღოლთა ჯგუფი, რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. როგორც მოწინავე რაზმი განსაზღვრული არმიისა, ეს პარტია ჯერ ერთი თავისი საკუთარი პროგრამით, ტაქტიკით და ორგანიზაციონური პრინციპით უნდა იყვეს შეარაღებული და მერე, მჭიდრო ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს. თუ ვიკითხავთ: ვის უნდა ვუწოდოთ წევრი რუსეთის მუშათა სოციალდემოკრატიული პარტიისა, ამ პარტიას შეუძლიან მხოლოდ ერთი პასუხი მოგვცეს: ვინც პარტიულ პროგრამას მიიღებს, მატერიალურათ ეხმარება პარტიას და ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობს.

სწორეთ ეს აშკარა სიმართლე გამოხატა ამხ. ლენინმა თავის შესანიშნავ განმარტებაში.

„პროლეტარიატის ბრძოლა“ № 8, 1905 წ. 1 (14) იანვარი.

---

*) ჩვენ არაფერს არ ვამბობთ სხვა პარტიებზე რუსეთში, რადგანაც მათზე ლაპარაკი არაფათ საჭიროებს არ წარმოადგენს ჩვენი კითხვების გამოსარკვევათ.

*) გამოქვეყნებულია ჟურნალების „ბოლშევიკის“ და „პარტიინოე სტროიტელსტვოს“ 1939 წლის № 23-24.

*) ლენინი გამოჩენილი თეორეტიკი და პრაქტიკი რევოლუციონური სოციალდემოკრატიისა.

*) მარტოვი „ისკრის“ ერთი რედაქტორთაგანი.

---

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ?

(დასასრული)

...რა, მათ უნდა მოვუპოვოთ ჩვენ უფლება ამ კითხვის გადაჭრისა. დეე თვით ერებმა გადასჭრან, როცა-კი საჭიროება მოითხოვს მათგან, საპირველოა მათთვის თუ საზარალო „ნაციონალური დამოუკიდებლობა“ და თუ სასარგებლოა, რა ფორმაში უნდა განხორციელდეს ის? მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ კითხვის გადაჭრა! ამგვარათ, მე-9 მუხლის ძალით „ურთ“ ერებს ეძლევათ უფლება თავიანთი სურვილების თანახმად მოაწყონ თავიანთი ნაციონალური...

[illegible]

...გვეუბნება, რომ არ დაურღვევიათო. ცხადია, ვალდებული ვართ დავუჯეროთ მეცნიერების აღნიშნულ შეხედულებას, ვალდებული ვართ მეცნიერებასთან ერთად გავიმეოროთ, რომ არავითარი „ნაციონალური სული“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. და თუ ეს ასეა, თუ არავითარი „ნაციონალური სული“ არ არსებობს, — თავისთავათ ცხადია, რომ ყოველივე დაცვა იმისა, რაც არ არსებობს, ლოლიკური სისულელეა, რომელსაც...

[illegible]

...რომ ძირიანათ დავანგრიოთ ნაციონალური კედლები, რომ არც ერთ წუთს არ დავშორდეთ ჩვენს ძვირფას პრინციპებს.

რაღა საჭიროა — ერთი ვიკითხოთ — ცალკე ნაციონალური პარტიები? ან სად არის ის სოციალდემოკრატიული „ბაზისი“, რომელზედაც უნდა აშენდეს ორგანიზაციური და პოლიტიკური შეხედულებები ფედერალისტ-სოციალდემოკრატებისა? ესეთი „ბაზისი“ არა სჩანს, ის არ არსებობს. ფედერა...

[illegible]

„ისკრა“ № 7, 1904 წ. 1 (14) იანვარი.

---

# ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

[illegible]

...შთაბეჭდილება მოახდინა თბილისის „კონკის“ ყოფილი დეპოს ნახვამ. სტუმრებმა ყურადღებით მოისმინეს ექსკურსიის ხელმძღვანელის ნაამბობი იმის შესახებ, თუ რა წარმატებით ჩაატარეს გაფიცვა ცხენის რკინიგზის დაბეჩავებულმა და უუფლებო მუშებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ექსკურსანტებმა განსაკუთრებული ინტერესით დაათვალიერეს ავლაბრის რესტავრირებული ბოლშევიკური არალეგალური სტამბა, ბინა, სადაც ამხანაგი სტალინი ცხოვრობდა თბილისის ობსერვატორიაში მუშაობის დროს, მიხა ბოდრიშვილის ყოფილი სადურგლო და დიდი ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა ადგილები.

დღე დამთავრდა ვ. ი. ლენინის სახელობის მუზეუმის თბილისის ...ჩვენ ვორონეჟში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ლექციებით და მოხსენებებით ნათლად გავაშუქებთ ყველაფერს, რაც აქ ვნახეთ. ჩვენ, ახალი ცოდნით გამდიდრებულნი, ვუამბობთ მშრომელთ, თუ რა წარმოუდგენელ მძიმე პირობებში იბრძოდა დიდი სტალინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ, საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის უაღრესად მკაფიო ილუსტრაციაა. ჩვენ აღტაცებაში მოვყავართ იმ უდიდეს ენერგიასა და გმირობას, რომლითაც ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა სტალინი რევოლუციურ მოძრაობას მეფის რეაქციის შავბნელ წლებში.

10 იანვარს ექსკურსანტები მიემგზავრებიან დიდი ბელადის სამშობლოში—ქალაქ გორში. (საქინფორმი).

# ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ, 8 იანვარი ...

[illegible]

# ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

[illegible]

...სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ს. სანაკოევი, ხოლო სესიის მდივნად თამარ საკუროვა.

დეპუტატ ი. პლიევის წინადადებით სესიის დღის წესრიგში ამტკიცებს 4 საკითხს. დეპუტატ ვ. ვალიევს შემოაქვს წინადადება მისალმება გაეგზავნოს დიდ **სტალინს.** დამსწრენი მქუხარე ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებიან ამ წინადადებას. მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგებს: **ბერიას, ჩარკვიანსა და ბაქრაძეს.**

სესიამ აირჩია სამანდატო კომისია დეპუტატ ა. კასაბიევის თავმჯდომარეობით.

...ბ. ძალაევი, ა. ხიროდინაშვილი, რუსუდან ბესთაეშვილი, ა. სანაკოევი, ა. ცხოვრებოვი, მარო გულიევა და მარიამ ბურაკოვსკაია.

სესიამ დაამტკიცა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ვლადიმერ ხუბაევის წინადადება საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან 12 განყოფილებისა და 4 სამმართველოს შექმნის შესახებ და დამტკიცდა მათი გამგეები. დამტკიცებულ იქნა აგრეთვე 7 მუდმივად მომქმედი კომისია.

სესიამ მუშაობა დაამთავრა 9 იანვარს.

პ. ტრაპაიძე

# ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲘᲝᲜᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ, 8 იანვარი (საქინფორმი). შესდგა მშრომელთა დეპუტატების სოხუმის სარაიონო საბჭოს პირველი ...

...დეპუტატი პეტრე ცანავა, მდივნად — დეპუტატი პეტრე შკლიარჩუკი.

სარაიონო საბჭოს აღმასრულებელ...

[illegible]

# ინგლის-ამერიკის ურთიერთობა

**ნიუ-იორკი**, 8 იანვარი (საქდესი). როგორც ცნობილია, გერმანიის ექსპორტის ბლოკადამ, რასაც ინგლისი ახორციელებს ამერიკის ნაოსნობაც მნიშვნელოვნად დააზარალა.

ამასთან დაკავშირებით, ასოშიეიტედ პრესის ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ წინათ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში იმედი ჰქონდათ რომ თავიდან აიცილებდნენ, ისე როგორც 1914-1918 წლის ომის დროს, „მკაცრ დავას" ინგლისთან, მაგრამ ამჟამად ეს იმედი არ გამართლდა.

ამერიკის მთავრობამ უკვე სამი საპროტესტო ნოტა გაჰგზავნა ინგლისის მიერ ამერიკის უფლებათა დარღვევის გამო. კორესპონდენტის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეგობრობის შესანარჩუნებლად, ინგლისმა რამდენიმედ უნდა შეარბილოს ბლოკადა, ამერიკის ნაოსნობის მიმართ.

ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ პირთა შორის სულ უფროდაუფრო იზრდება უკმაყოფილება ამერიკის ნაოსნობაში ინგლისის ჩარევის გამო.

O

**ნიუ-იორკი**, 8 იანვარი (საქდესი). ამ დღეებში ინგლისის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ლოტიანმა სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო ურთიერთობათა შემსწავლელ ჩიკაგოს საზოგადოების სხდომაზე. გაიმეორა რა თავის სიტყვაში ინგლისის პრესის ჩვეულებრივი მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ინგლისი და საფრანგეთი ომს — თავისუფლებისა და დემოკრატიის გადასარჩენად" აწარმოებენო, ლოტიანმა მაინც აღიარა, რომ „ომის ნამდვილი მიზანია ბრძოლა საზღვაო ძლიერებისათვის, რადგან ეს არის გამარჯვების გასაღები".

„თავისუფლებისა და ცხოვრების აყვავების ზრდა და გაფართოება 1914 წლამდე,—განაცხადა ლოტიანმა,—მეტ წილად იმ გარემოებას ეყრდნობოდა, რომ ზღვაში არსებობდა ელემენტარული პოლიტიკური ძალა—ინგლის-ამერიკის კონტროლი ზღვებზე. ინგლისის კონტროლი ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში თავიდან გვაშორებდა ევროპის სხვა სახელმწიფოთა მოქმედებას დასავლეთის მიმართულებით და ამრიგად ჰქმნიდა საფუძველს მონროის დოქტრინისათვის. ახლაც კი,—სთქვა ლოტიანმა, — ჩვენი უშიშროება დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ ჩვენ კონტროლს ვუწევთ ატლანტის ოკეანეს, თქვენ კი—წყნარ ოკეანეს. არც ინგლისი და არც ამერიკის შეერთებული შტატები არ იქნებოდნენ უშიშარ მდგომარეობაში, თუ რომელიმე ჩვენგანი მარტო დაიწყებდა მოქმედებას".

ლოტიანის სიტყვამ, მიუხედავად რეაქციონერების მოწონებისა, შიში გამოიწვია უფრო შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებს შორის. მაგალითად, დემოკრატი სენატორი ჰოლტი ლოტიანს ბრალსა სდებს იმაში, რომ მას განზრახული აქვს ომში ჩაითრიოს ამერიკის შეერთებული შტატები. სენატორმა ლენდინმა თავის გამოსვლაში, კერძოდ, პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისსა და საფრანგეთს სტრატეგიული ტერიტორიები უპყრიათ ამერიკის მატერიკზე.

# ომი ზღვაზე

**ლონდონი**, 8 იანვარი (საქდესი). ინგლისის გემი „სიტი ოფ მარსელი", 8.317 ტონა წყალწყვისა ნაღმს დაეჯახა შოტლანდიის სანაპიროს მახლობლად. აფეთქებამ მოჰკლა ეკიპაჟის ერთი კაცი და დასჭრა 13. გემი ბუქსირით მიიყვანეს ნავსადგურში.

ბერგენიდან (ნორვეგია) 45 მილზე ჩაძირული იქნა გერმანიის გემი „ფრანკენვალდი", 5.062 ტონა წყალწყვისა. ეკიპაჟი 46 კაცის შემადგენლობით და ორი ნორვეგიელი ლოცმანი გადაარჩინა ნორვეგიის საესკადრო ნაღმოსანმა.

ინგლისის გემი „სედრინგტონ კორტი", 5.160 ტონა წყალწყვისა, ინგლისის სამხრეთ სანაპიროს მახლობლად ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა. ეკიპაჟი—34 კაცი გადარჩენილია.

O

**ბერლინი**, 8 იანვარი (საქდესი). დეკემბრის მეორე ნახევარში, ზღვაში საომარი მოქმედების შედეგად, დანიის სავაჭრო ნაოსნობამ დაჰკარგა 12 გემი 19.669 ტონა საერთო წყალწყვისა.

# ომი დასავლეთ ევროპაში

**ბრიუსელი**, 9 იანვარი (საქდესი). გაზეთ „ჟურნალის" 8 იანვრის ნომერში მოთავსებულ სამხედრო მიმოხილვაში ნათქვამია: „ეს რამოდენიმე ხანია საზღვაო ძალების აქტივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა შესწყვიტეს თავდასხმა. ავიაციის მოქმედება უმნიშვნელოა.

ხმელეთზე, საფრონტთაშორისო ზოლში, ორივე მხარის დიდძალი პატრულები მოქმედებდნენ. აღნიშ-

ზეთ „ნიუ-დაგის" რედაქტორ ერიქსონსა და კომუნისტურ გაზეთ „არბეიდარ ტიდნინგენის" რედაქტორ ანდერსონს სასამართლომ სამ-სამი თვის პატიმრობა მიუსაჯა.

**პარიზი**, 8 იანვარი (საქდესი). გაზეთი „პტი პარიზიენი" იუწყება დრაველში 3 კაცის დაპატიმრების შესახებ, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტური ორგანიზაციის აღდგენასა და ფურცლების გავრცელებაში.

კონიაკში აგრეთვე დაპატიმრებულია კომპარტიის 5 აქტივისტი წევრი, მათ შორის სამი მასწავლებელია. ბორდოში დაპატიმრებულია მარსელ კაშენის ქალიშვილი და მისი ქმარი.

## კომუნისტებს სდევნიან

**ბერლინი**, 8 იანვარი (საქდესი). საფრანგეთის ხელისუფლება აძლიერებს რეპრესიებს ყველას წინააღმდეგ, ვისაც ეჭვით ომის საწინააღმდეგო განწყობილებას აბრალებენ.

როგორც გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერის" ბრიუსელელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ პარიზსა და ვერსალში ორ მუშას საბრალდებო განაჩენი გამოუტანეს: ერთს ერთნახევარი წლის, ხოლო მეორეს სამი წლის საპყრობილე მიუსაჯეს „პროპაგანდული იდეების" გამო. ლილში ამავე ბრალდების გამო მსჯავრდადებულია სამღვდელო და.

# დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიას შორის

**ვაშინგტონი**, 8 იანვარი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის მთავრობებმა გამოაცხადეს, რომ ორივე ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ავსტრალიის პირველ ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში დანიშნულია მომარაგების მინისტრი კესეი. ამერიკის ელჩი ავსტრალიაში დანიშნულ იქნება უახლოეს დროში.

კანადისა და სამხრეთ-ამერიკის კავშირს უკვე ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები ვაშინგტონში. ამრიგად, ახალი ზელანდია არის ამჟამად ინგლისის ერთერთი დომინიონი, რომელსაც არ ეყოლება თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მოლაპარაკება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიას შორის ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო, მაგრამ საომარი მოქმედების უშუალოდ გაშლამ და აღმოსავლეთში მომხდარმა ამბებმა დააჩქარეს ამ საკითხის გადაწყვეტა.

# საომარი მოქმედება ჩინეთში

## სამხრეთ ჩინეთში

უკანასკნელ დღეებში ჩინეთის ჯარი წარმატებით აწარმოებს იაპონელთა პატარა რაზმების ლიკვიდაციას გუანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. მეიკოანის მახლობლად (10 კილომეტრზე ჩაინის აღმოსავლეთით) ჩინელებმა აჰკრიფეს იაპონელ ჯარისკაცთა 700-მდე გვამი, დიდძალი იარაღი და ამუნიცია. ჩინეთის ჯარის ნაწილები კვლავ უკან აბრუნებენ იაპონელებს სამხრეთისაკენ, კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ. ბაძიანის სადგურთან იაპონელებს დიდი ზარალი მოუყენეს.

ინგლისის ჰონკონგის საზღვრის რაიონში 4 და 5 იანვარს ჩინეთის ჯარმა დაიკავა შენჩიუნ და ნანტოუ. გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლა გრძელდება ფინცის რაიონში (15 კილომეტრზე ჩაოჯოუს სამხრეთით), სადაც სამი დღის ბრძოლის შედეგად ჩინელებმა მოჰკლეს 300-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი და ხელთ იგდეს დიდძალი ამუნიცია და საჭურველი.

გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ნანინის სამხრეთით, ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის გრძელდება ბრძოლა. ჩინელებმა დაიკავეს მთელი რიგი პატარა პუნქტები. ნანინ-ცინჯოუს გზატკეცილის შუა უბანი მთლიანად დანგრეულია ჩინეთის ჯარის მიერ.

## ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ტუნჩენის სექტორში, ჩინეთის ჯარმა დაიწყო შეტევა იაპონელთა პოზიციებზე. ხენანის სამხრეთით, სინიანის სექტორში, იაპონიის ჯარის ნაწილებმა ენერგიული იერიში მიიტანეს ჩინეთის ჯარზე. მედგარი ბრძოლის შემდეგ, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა, იაპონელებმა, რომლებსაც 800-მდე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს, პირვანდელ პოზიციებზე დაიხიეს. ჩინელებმა გაანადგურეს იაპონელთა რამდენიმე ტანკი.




ამერიკელი იარაღით მოვაჭრის საშინელი სიზმარი.
მ. ოთაროვის ნახატი (საქდესის ფოტოქრონიკა).

# დიდი სტალინის მონუმენტი სანაპირო ქუჩაზე

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში ბელადის სახელობის სანაპირო ქუჩის სკვერში აღმართულ იქნა დიდი სტალინის მონუმენტი 5 მეტრისა და 35 სანტიმეტრის სიმაღლისა. ეს მონუმენტი იპყრობს გამვლელთა ყურადღებას და მის სანახავად დიდძალი ხალხი იყრის თავს.

მონუმენტის ავტორია მოქანდაკე სილ. კაკაბაძე, რომელიც ამ მონუმენტის გამოკვეთაზე 1936 წლიდან მუშაობს. მაშინ გამოცხადებული იყო კონკურსი და ამ კონკურსში გაიმარჯვა ს. კაკაბაძის ესკიზმა. კაკაბაძე მრავალი თავისი ნამუშევრითაა ცნობილი საბჭოთა მოქანდაკეებს შორის. პროფესიით იგი ყოფილი მუშაა 23 წლის საწარმოო სტაჟით. 1930 წელს ს. კაკაბაძემ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, ხოლო 1936 წლიდან ლექტორობს იმავე აკადემიაში.

უკანასკნელი ნამუშევარი, რომელიც სანაპირო ქუჩის სკვერში დგას, ს. კაკაბაძემ გამოჰკვეთა გოდოგნის (ქუთაისის რაიონში) თეთრი ქვისაგან.

# 15 წლის დირიჟორი და კომპოზიტორი

საქართველოს ფილარმონიის მოწვევით, ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა ელზა მაილიანი — ახალგაზრდა დირიჟორი და კომპოზიტორი. 12 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება კონცერტი. ამ კონცერტზე საქართველოს ფილარმონიის ორკესტრს უდირიჟორებს ელზა მაილიანი. კონცერტის პროგრამაში არის ისეთი რთული ნაწარმოებნი, როგორიცაა ჩაიკოვსკის „მე-5 სიმფონია", რიმსკი-კორსაკოვის „შეხერეზადა" და აგრეთვე ბერლიოზის, ა. სპენდიაროვის, ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილისა და სხვა ნაწარმოებნი.

პიონერი ქალი ელზა მაილიანი სულ 15 წლისაა. იგი სწავლობს ბაქოს კონსერვატორიაში და ერთდროულად სტალინის სახელობის მე-22 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოწაფეა. უკვე 4 წელია, რაც ელზა კონცერტებზე გამოდის როგორც დირიჟორი და ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობს.

ელზა მაილიანს, როგორც კომპოზიტორს აქვს თავისი დაბეჭდილი ნაწარმოებნი. მას ეკუთვნის სიმღერა სტალინზე „სახელოვანი მზე", (სიტყვები მურანისა). ამ დღეებში გამოვიდა მისი მუსიკალური ნაწარმოები „ჩიტი" და „გემი" (სიტყვები პუშკინისა).

ელზასთან ერთად ჩამოვიდა მისი მამა, კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი ანტონ მაილიანი, აზერბაიჯანული ოპერის „საფას" (სიხარულის) და სხვა მუსიკალურ ნაწარმოებთა ავტორი. (საქდესი).

# სათხილამურო სპორტის სეზონი ბაკურიანში

ბაკურიანში ამჟამად თავმოყრილი არიან მთხილამურე სპორტსმენები საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველი მხრიდან. 200-მდე სპორტსმენი-მთხილამურე ვარჯიშობს ახლა იქ სპორტული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

თხილამურებით ვარჯიშისათვის წელს ბაკურიანში ბევრი რამ ახალი გაკეთდა: მოწყობილია 45 და 50-მეტრიანი ტრამპლინები, არის აგრეთვე სასწავლო ტრამპლინები, კარგად მოწყობილია საცხოვრებელი ბაზები.

მეთხილამურე სპორტსმენები ემზადებიან მომავალი შეჯიბრებებისათვის. ამინდი კარგია და მეთხილამურე ახალგაზრდობა ხალისიანად ატარებს დროს.

# სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ (მოსკოვი) ამ დღეებში გამოსცა ორდენოსანი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული რუსულ ენაზე. ეს არის მეორე გამოცემა პოეტის ლექსებისა. იგი შევსებულია უკანასკნელი წლების განმავლობაში დაწერილი ზოგიერთი ლექსით. კრებულში მოთავსებულია სიმონ ჩიქოვანის ის ძველი რჩეული ლექსებიც, რომლებიც 1935 წლის გამოცემაში არ იყო შესული. ლექსების თარგმანები ეკუთვნით პოეტებს — პ. ანტოკოლსკის, ბ. ბრიკს, ბ. პასტერნაკს, ნ. ტიხონოვს, პ. პეტრენკოს, მ. ტარლოვსკის და სხვ. თარგმანები ავტორიზებულია.

წიგნს დართული აქვს კრიტიკოს გ. გოლცევის შესავალი წერილი და შენიშვნები.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული.

# საქართველოს ალპურ კლუბში

საქართველოს ალპური კლუბი ამჟამად აწყობს თავისი ნამუშევრების გამოფენას, რომლის გახსნაც გადაწყვეტილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 19 წლისთავისათვის—25 თებერვალს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ალპურ ზონებში შეგროვილი ფლორის ჰერბარიუმი, ალპურ ცხოველთა და ფრინველთა ფიტულები, ალპინისტების მიერ ნაპოვნ და შეგროვილ მადნეულობათა კოლექციები, ალპინისტურ ხელსაწყოთა ნიმუშები, ალპინიზმის ისტორია საქართველოში (სპეციალური ფარების საშუალებით), საქართველოს ალპინისტთა პორტრეტები, კავკასიონის მწვერვალთა სურათები და სხვ.

გამოფენისთვის გამოყოფილია ალპური კლუბის შენობის (კიროვის სახელობის ბაღში) 4 დარბაზი.

# მეთხილამურე სპორტსმენთა გასამხედროებული გადასვლა

უახლოეს დღეებში (11 ან 12 იანვარს) ეწყობა მეთხილამურე სპორტსმენთა გასამხედროებული გადასვლა ბაკურიანიდან ტაბაწყურამდე—50 კილომეტრის მანძილზე. გადასვლაში მონაწილეობას მიიღებენ სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსების (ბაკურიანში) მსმენელები, სულ 20 კაცი.

მეთხილამურე სპორტსმენთა ეს გადასვლა ერთ დღეში უნდა დამთავრდეს.

# „პატარა კახი" ჭიათურის თეატრში

დეკემბრის ბოლო რიცხვებში ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა აკაკი წერეთლის ცნობილი დრამა „პატარა კახი".

პიესა დადგა რეჟ. გ. გორდაძემ, მხატვრულად გააფორმა ორდენოსანმა მხატვარმა ელ. ახვლედიანმა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო თეატრის მთელმა კოლექტივმა. მთავარ როლებს ასრულებენ: მსახ. შ. ბანეთიშვილი (პატარა კახი), მ. ვაშაძე (ლევან ქვაბულიძე), გ. ტყაბლაძე (მოხუცი გელა), ბ. რომანიშვილი (ტურფა—გელას ქალი), მ. კუსიანი (თეიმურაზ მეორე), თ. ერისთავი (თამარ დედოფალი), გ. ცუცქირიძე (ბადური) და სხვ.

წარმოდგენებს დიდძალი ხალხი ესწრება.

**ლ. ლოლაძე.**

# „გენერალური კონსული" თელავის თეატრში

**თელავი**, (ჩვენი საკ. კორ.). დეკემბრის ბოლო რიცხვებში თელავის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად დასდგა ძმ. ტურებისა და შეინინის პიესა „გენერალური კონსული". მთავარ როლებში გამოდიოდნენ: გ. კეცლიშვილი (მოროზოვი), პ. ახვლედიანი (გოგლიძე), ს. სახიევი (ჟუკოვი), გ. როსება (გუბერნატორი), ვ. ჩელთისპირელი (ფურუგი), ა. კუპატაძე (სატო) და სხვ.

პიესა დასდგა რეჟისორმა გ. როსებამ, მხატვარი დ. ბალარჯიშვილი.

**შ. მაჭავარიანი.**

# „დაუვიწყარი დღე"

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორი ამ დღეებში ეკრანზე გაუშვებს დოკუმენტალურ ფილმს „დაუვიწყარ დღეს". ფილმი გადაღებულია 24 დეკემბერს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღის.

ფილმისათვის ცალკეული კადრები გადაღებულია გორში, სოფ. ჟინვალში, სოფ. პატარა ფოთში (კოლხიდა), ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (ქობულეთის რაიონი). თბილისში გადაღებულია იმ საარჩევნო უბნების არჩევნები, სადაც კენჭი იყარეს დიდმა სტალინმა და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა—ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა და ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ.

ფილმი „დაუვიწყარი დღე" ეკრანისათვის მოამზადა რეჟისორმა შ. მართაშვილმა. (საქდესი).

# დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** **ხახოპერა** „ბახჩისარაის შადრევანი" (ტალ. № 88 და 1 აბ. 6 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „ოტელო" (ტალ. № 87), **მარჯანიშვილის** სახელობის — „მზის დაბნელება საქართველოში", **მუსკომედია** — „სკაპენის ოინები".

**კინოებში:** **რუსთაველის** სახ. — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **ოქტომბერი** — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **დამკვრელი** — „მფრინავები", **კომკავშირელი** — „მასწავლებელი", **სპარტაკი** — „ტრაქტორისტები", **ლუქსემბურგის** სახ. — „სამშობლო", **26 კომ.** სახ. — „მეგობრები", **კომინტერნი** — „სტეპან რაზინი".

**პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პ. რატიანი**

---

საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისარიატი

## მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მეღვინეობის მრეწველობის ტრესტის „სამტრესტის"

## ბალანსი 1939 წლის 1-ლი იანვრისათვის

**აქტივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა 1938 წ. 1 იანვრისათვის | თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი (შენობები, ნაგებობანი, ძანქანები, ინსტრუმენტები, ინვენტარი და სხვ.) | 54.002.266—78 | 58 450.523—57 |
| 1-ა. | საშუალებანი კაპიტალურ რემონტში | — | 359.108—34 |
| 2 | ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, სათბობი და ტარა | 35.714.342—23 | 22.139.457—65 |
| 3 | ნახევარფაბრიკატები და დაუმთავრებელი წარმოება | 20.249.177—28 | 37.857.736—65 |
| 4 | საქონელი და მზა პროდუქცია | 20.103.199—47 | 15.939 019—96 |
| 5 | გადაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები | 8.70 .807—69 | 7.513.297—27 |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებებში (დებიტორები) | 9.313.375—47 | 4.123.274—07 |
| 7 | ფულადი საშუალებანი (საანგარიშსწორებო ანგარიში, სალარო) | 8.579 284—28 | 5.659 008—69 |
| 8 | ხარჯები მომავალი წლების ანგარიშში | 418 693—23 | 528.438—74 |
| 9 | ურთიერთ ანგარიშსწორებანი | 2 335.303—34 | 2.071.226—70 |
| 10 | სხვა აქტივები (ფასიანი ქაღალდები და სხვ.) | 397.536—61 | 263 981—73 |
| 11 | შენატანები და ანარიცხები მოგებიდან, რომლებიც გაწეულია საანგარიშო წელს | 5.493.074—45 | 3.777.000—— |
| | ბალანსი | 165.316.060—83 | 158.682.073—37 |

**პასივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | თანხა 1938 წ. 1 იანვრისათვის | თანხა 1939 წ. 1 იანვრისათვის |
|---|---|---|---|
| 1 | საწესდებო ფონდი | 82 597.623—10 | 98.429.400—55 |
| 2 | საამორტიზაციო ფონდი | — | 1.105 800—31 |
| 3 | სხვა ფონდები | 2.128.510—16 | 1 929.103—51 |
| 4 | რეზერვები და მომავალი გადასახდელები | 492.758—03 | 372 145—80 |
| 5 | გრძელვადიანი დაკრედიტება და დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 12.907—46 | 1.216—28 |
| 6 | მოკლევადიანი საბანკო კრედიტები | 40.724.438—86 | 36.256 411—94 |
| 7 | ანგარიმსწორება კრედიტორებთან | 12 823 785—82 | 8.743 262—52 |
| 8 | სხვა პასივები | 219.524—22 | 63.667—09 |
| 9 | ურთიერთ ანგარიშსწორებანი | 131.954—29 | — |
| 10 | საანგარიშო წლის მოგება | 26.184.558—89 | 11.781.065—37 |
| | ბალანსი | 165.316.060—89 | 158.682 73—37 |

## 1938 წლის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები.

**ა. წარმოების დარგში.**

1. პროდუქციის გამოშვება:
   ა) 1938 წ. საბითუმო საგასაცემო ფასებში . . . 263713 ათ. მან.
   ბ) პროცენტებში გეგმის მიმართ (უცვლელ ფასებშია) . . 116,4 %
   გ) პროცენტებში გეგმისადმი ნატურით . . . —
2. თვითღირებულება შემცირებულია გეგმასთან შედარებით . 0,73 %-ით
3. შრომის ნაყოფიერება პროცენტებში გეგმის მიმართ (საერთო პროდუქციის გადაანგარიშებით ფაქტიურ ასორტიმენტზე) 139 %
4. წარმოების ერთი მუშის საშუალო ხელფასი პროცენტებში გეგმის მიმართ . . . 114 %
5. ანარიცხები საწარმოს დირექტორის ფონდში წლის განმავლობაში . . . 863,9 ათ. მან.
6. დახარჯულია დირექტორის ფონდის ანგარიშით . . . 1031,4 „ „
   აქედან დახარჯულია:
   ა) საცხოვრებელ ბინებზე მუშებისათვის . . . 319 „ „
   ბ) კულტსაყოფაცხოვრებო საჭიროებებზე . . . 560,0 „ „
   გ) დაჯილდოებაზე . . . 128,0 „ „
   დ) დანარჩენი . . . 124,0 „ „
7. გადახარჯვა და დანაკარგები:
   ა) დანაკარგი წუნისაგან . . . 177,8 ათ. მან.
   ბ) „ გაცდენისაგან . . . 47,0 „ „
   გ) გადახარჯვა საამქრო ხარჯებზე . . . 5,0 „ „
   დ) „ საერთოსაქარხნო ხარჯებზე . . . 148,7 „ „
   ე) საურავი, ჯარიმა და საუპირულო გადახდილი . . . 346.3 „ „
   ვ) საურავი, ჯარიმა და საუპირულო მიღებული . . . 544,0 „ „
   ზ) დანაკლისი ნედლეულისა, მასალებისა, სათბობისა და პროდუქციისა საწყობებში . . . 424,0 „ „

**ბ. კაპიტალური მშენებლობის დარგში.**

1. კაპიტალდაბანდებათა გეგმა შესრულებულია . . . 65 % ით
2. შესრულებულია სამუშაოები:
   ა) საგეგმო ღირებულებით . . . 1990,3 ათ. მან.
   ბ) ფაქტიური ღირებულებით . . . 2619,6 „ „
3. გადაცემულია საექსპლოატაციოდ ფაქტიური ღირებულებით 2819,8 „ „

სამტრესტის დირექტორი **აზარაშვილი.** მთ. ბუხჰალტერი **კუბლაშვილი.**

ბალანსი დამტკიცებულია საქ. სსრ კვების მრეწველობის სახ. კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. სსრ. კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **პურადაშვილი.**

710

---


**სახესტრადის საზამთრო თეატრი**
პლეხანოვის პროსპ. № 123
ტელ. 3-66-01
10, 11, 12 იანვარს
**ბოშური სიმღერების და ცეკვების**
ანსამბლის გასტროლები
**ზოია არტამონოვას** მონაწილეობით.
დასაწყისი 9 საათზე. ბილეთები იყიდება დილის 11 ს. 3 საათ. საღ. 6 ს. 10 საათ.
13 იანვარს ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის დამს. არტ. **ვახო ?ოძიაშვილის** სადამო დაწვრილებით აფიშებში.

**სახ. მუსიკალური კომედიის თეატრი** პლეხანოვის პრ. № 182
(ყოფ. მუშტაიდი)
10 იანვარს
მოლიერი **სკაპენის ოინები** კომ. 3 მოქმ.
11 იანვარს
მ. ჯაფარიძე, მ. გოგიაშვილი
**უჩინ-მაჩინი** მუსკომ. 3 მოქმ.
12 იანვარს
მ. ლაკირბაია
**ხაჯარათი** ოპერეტა 3 მოქმ.
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

მეუღლე გიორგი, შვილი აკაკი, მშობლები ივანე, მარიამ, ძმები სიმონ, გიორგი იუწყებიან, რომ 12/I 3 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია
**ანიკო ალთუნაშვილი-სეფაშვილის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 4564

გრიგოლ ფილიპეს-ძე ანდღულაძე ოჯახით იუწყება დაუვიწყარ
**ილოსი კონსტანტინეს-ასულ ანდღულაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბახვში 11/I. 4576

მეუღლე ნინუცი, ძმა ილიკო, შვილები შალიკო, ვარლამ, ქეთო, აკაკი, ილია გოგუაძეები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელ
**როსტომ აბრამის-ძე გოგუაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. მახარაძეში 11/I. 4571

საქ. ჯანსახკომის თანამშრომლები ჩიხლაძე, კვიტაშვილი, როდონაია, თუხარელი, მიქაბერიძე, გამრეკელი, ყიფშიძე, ძაგანია, მხეიძე, შარაბიძე, ფარსადანოვი იუწყებიან
**ივანე ვასილის-ძე ფავლენიშვილის**
გარდაცვალებას. 4572

ცოლი თამარ, შვილი ნუგზარ, რძალი ევგენია, სიძე როსტომ, და ეუკა შვილებით ანიკოთი, ლუტუათი, მაშიათი იუწყებიან საყვარელ
**ნიკო კაციას-ძე კურცხალიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/I ს. ორგვეთში. 4573

ნესტორ და გრიშა კვალიაშვილები ცოლშვილით იუწყებიან, რომ 12/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
**ბაბო ფილიმონის-ასულ კვალიაშვილის**
სამოქ. პანაშვიდი. 4577

დისწული არჩილ თამასიძე ცოლით მართათი, შვილებით პავლიკათი და გოგლიკათი იუწყება საყვარელი ბიძის
**გიგო პავლეს-ძე უსეინაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10. 11/I 7 ს. ლენინის, 27. გამოსვენება 12/I 4 ს. 4575

ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ყელ-ყურის განყოფილების ექიმები პროფ. ასპისოვი, ჩხეიძე, ონანოვი, ფანჯავიძე, ლაზხი, გიგინეიშვილი, გოგიჩაიშვილი, ბასილოვი, სატანა, სულავა იუწყებიან ექ. ქ. ჩუბინიძის დის
**ნინოს**
გარდაცვალებას. 4570

მედინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრა, პროფ. ნათაძე და თანამშრომლები ყანჩელი, ბერულავა, კინწურაშვილი, ხაჩიძე, კაციტაძე, კაკალაშვილი, ბეჟანოვი, ასათიანი, თევზაია, დაშნიანი, ძამაშვილი იუწყებიან პროფ. ულენტის
**პატარა აჩიკოს**
გარდაცვალებას. 4574

მეუღლე ფოტინე, შვილები ვალიკო, ალექსანდრე, სამსონ, სევერიანე, რძლები ნინო, ნინო, ქსენია, ფაცია შვილებით იუწყებიან დაუვიწყარ
**გიორგი ლაზარეს-ძე თხილავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ღანირში 12/I. 4566

ილუშა ჯავახია ცოლით თამარით, მარუსია ჯავახია ქმრით მიხეილ მოსიძით და მარიამ გოგიავა იუწყებიან საყვარელი ბიცოლას
**კატო ჯავახიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/I ცხაკაიას, 11. 4567

მეუღლე ნინო, შვილი რუსუდან, სიძე ახმედ გოგიტიძე იუწყებიან, რომ 12/I 3 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება საყვარელ
**სერგო ბესარიონის-ძე ელიავას**
სამოქ. პანაშვიდი. 4568

მშობლები ნუცა, კიმოთე, ძმა შალვა ცოლით ლიუბათი, შვილებით ჯუდუთი, ლიანათი იუწყებიან, რომ 12/I 4 ს. ქ. ხაშურში დანიშნულია
**ზურაბ კიმოთეს-ძე ხაჩიძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 4569

მეუღლე ნუშიკო, შვილი ნუნუ, დედა მართა, ძმა დათიკო ცოლშვილით, დები ქსენია, გოგუცა, მარგალიტა, ვენერა, კატუშა ჩხეიძეები ქმარშვილით იუწყებიან, რომ 12/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია საყვარელ
**კოწია ჩხეიძის**
სამოქალაქო პანაშვიდი. 4565


რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩ. № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მბ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81 84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მბ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 1408